პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 243 (10019)

ოთხშაბათი, 13 ოქტომბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

დავძლიოთ ჩამორჩენა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში. — რატომ ითმენენ ნაკლოვანებებს? შარშანდელი მაგალითი აღარ გამეორდება. მესტიელ მეცხოველეებთან (მე-2 გვერდი).

ი. ფეიქრიშვილი. — საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა (მე-2 გვერდი).

საკდესი უარყოფს (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის შერეულ საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის წილის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას. — ვილაპარაკეთ დერეფანში — ფანჯრებიდან ხელებით... მერიაში მშენებლები მოძრაობენ ... ჭიროა დამატებითი ავტობუსები (მე-3 გვერდი).

ა. თომაძე. — მეცხვარეთა ოჯახის ... (მე-3 გვერდი).

სომხური დრამის თეატრში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საოქჯომბრო სოციალისჯურ შეჯიბრებაში ახალი წარმაჯებებისათვის

საბჭოთა ხალხი ახალი შრომითი აღმავლობით ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად. ბრძოლებში ნაცადი, უძლეველი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ყველგან, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენი ადამიანები ენთუზიაზმით იბრძვიან ახალ-ახალი წარმატებების მოსაპოვებლად, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული დიად სამუშაოთა პროგრამის შესასრულებლად. უკვე მკაფიოდ იგრძნობა ამ დიდი სახალხო შრომის შედეგი — სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობა, ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამოშვების ზრდა, მოსახლეობის კულტურულ-მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

მოახლოებული დიადი დღესასწაულისათვის მზადებას ჩვენი სამშობლოს შრომელები, როგორც ყოველთვის, ისე წელსაც აღნიშნავენ ტრადიციული საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით. რაც დრო გადის, ეს შეჯიბრება თანდათან ფართოვდება, მასობრივი ხდება და ხელს უწყობს მასების წარმატებას წარმოების ზრდის შინაგანი რეზერვების გამოვლინებისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი აღმავლობისათვის, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად ჩვენს რესპუბლიკაში გამოვიდნენ რკინიგზელები, მეტალურგები და ფეიქრები. რუსთავის სახელოვანმა მეფოლადეებმა იკისრეს დღესასწაულისათვის სამშობლოს გეგმის გადაჭარბებით საგრძნობი რაოდენობით მისცენ ხარისხოვანი ფოლადი, დნობისას თვითეულ ტონა ფოლადზე გასწიონ 2 კილოგრამი საწვავის ეკონომია, ნახევარი საათით შეკვეცონ დნობის დრო, შეამცირონ წადნობის თვითღირებულება და ა. შ. გადიდებული ვალდებულებები იკისრეს რკინიგზელებმა, მანქანათმშენებლებმა, ფეიქრებმა, ფეხსაცმლის მრეწველობის, საშენ მასალათა საწარმოების, ტრანსპორტის მუშაკებმა, მშენებლებმა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივებმა.

რედაქციას მოსდის სასიხარულო ცნობები იმის შესახებ, რომ მშრომელები პირნათლად ანაღდებენ აღებულ ვალდებულებებს, ახალ და ახალ საწარმოო გამარჯვებებს აღწევენ.

მთავარი ახლა ის არის, რომ სათავეში ჩავუდგეთ მასების ამ შრომითს აქტივობას, სოციალისტური შეჯიბრება წარვმართოთ მიზანდასახულად, საწარმოში არსებული „ვიწრო ადგილების“ გამოსასწორებლად. სოციალისტური შეჯიბრების სათავეში ჩადგომა საწარმოთა პარტიული და განსაკუთრებით პროფკავშირული ორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა. უზრუნველვყოთ ყველა საწარმოში, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობა, შეჯიბრების ყველა მონაწილის მიერ ნაკისრი საწარმოო ვალდებულების განაღდება, მუშაკთა პირადი ინიციატივისათვის ფართო გასაქანის მიცემა. შევქმნათ პირობები შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, არსებული რეზერვების უნარიანად გამოყენებისათვის, რაციონალიზატორული მუშაობის გაცხოველებისათვის. ასეთია პროფკავშირული მუშაკების საბრძოლო ამოცანა.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ უზრუნველვყოთ ჩამორჩენილთა აყვანა მოწინავე მუშათა დონემდე, მივაღწიოთ მთელი კოლექტივის აღმავლობას. ამისათვის საჭიროა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პროფორგანიზატორებისა და საწარმოს მთელი პროფკავშირული აქტივის ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მეტი დახმარება აღმოუჩინონ ჩამორჩენილებს მუშაობის გაუმჯობესებული ხერხების დაუფლებაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება უნდა მოვიმარჯვოთ მასების შემოქმედებითი მუშაობის ახალი აღმავლობის მისაღწევად, საწარმოებში რაციონალიზატორული საქმიანობის გაცხოველებლად. რაციონალიზატორების დარაზმვას, მათთვის დახმარების გაწევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის გამოშვების გადიდების მიღწევისათვის. არის იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მთელ რიგ საწარმოებში პროფკავშირული ორგანიზაციები რაციონალიზატორებს მხოლოდ ფორმალურად ხელმძღვანელობენ, ხოლო არსებითად მათ არაფრით არ ეხმარებიან. ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, პლასტმასის ქარხნის, კაფელის ფილების ქარხნის და მთელ რიგ სხვა საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციები. ამ საწარმოთა პროფკავშირულ ორგანიზაციებს ახლა ეძლევათ შესანიშნავი შესაძლებლობა გამოასწორონ ეს ხარვეზები, გააძლიერონ მუშაობა რაციონალიზატორებთან, მათი შემოქმედებითი აზრი მიმართონ იქითკენ, რომ მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ამაღლება.

საწარმოთა მუშაობის საერთო გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური კადრის მუშების შეფობას ახალგაზრდა, ნაკლებ კვალიფიციურ მუშებზე. გამოცდილება ცხადყოფს, რომ სტახანოვური სკოლების მოწყობასთან, საერთოდ ტექნიკური პროპაგანდის კარგად დაყენებასთან ერთად, გამოცდილი მუშების შეფობა საწარმოში ახალდმოსულებზე შედეგად გვაძლევს მთელი კოლექტივის შრომის ნაყოფიერების აღმავლობას. თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატში შემოიღეს ასეთი შეფობა. გარდა ამისა, აქ საამქროებში ინსტრუქტორებად გამოჰყვეს გამოცდილი ფეიქრები, რომ ნაკლებ კვალიფიციურ ფეიქრებს შეასწავლონ მუშაობის გაუმჯობესებული ხერხები და ილეთები, რამაც კომბინატის კოლექტივს საუკეთესო შედეგი მისცა, გამოიწვია შრომის ნაყოფიერების საერთო აღმავლობა. ფეიქართა მაგალითისამებრ ამ საქმეს ყველგან სათავეში საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა ჩაუდგნენ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებათა მოპოვების უზრუნველყოფა ბევრად არის დამოკიდებული შეჯიბრების საჯაროობაზე. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა შეძლონ შეჯიბრების მონაწილეთა მიღწევების ფართოდ ჩვენება, მათი მუშაობის გამოცდილების განზოგადება. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას ყველა საშუალება — საერთო კრებები, საწარმოო თათბირები, კედლის გაზეთები და „ელვა ფურცლები“, ფოტოვიტრინები და ა. შ. მაგრამ საჯაროობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ კარგად არის დაყენებული აღრიცხვა. ამიტომ შეჯიბრებაში ჩაბმულთა მუშაობის შედეგების დროულად აღრიცხვას, შეჯამებასა და ოპერატიულად გამოქვეყნებას დიდი წამახალისებელი მნიშვნელობა აქვს.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა მოითხოვს ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას. დაუშვებელია, რომ ამ საქმეში პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაემიჯნონ საწარმოთა პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები. იქ, სადაც ასეთი გამიჯვნა იქნება, მოსალოდნელია სოციალისტური შეჯიბრებისადმი პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ ყურადღების შენელება, ფორმალიზმი და კანცელარიულობა. ამის აღკვეთის საუკეთესო საშუალება ის არის, რომ პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას ამ დარგში შეუნელებლივ გაუწიონ მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება უნდა გადავაქციოთ მომდინარე წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულების, მასების ახალი შრომითი მიღწევების მოპოვების საშუალებად.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲗᲐᲛᲑᲐᲕᲥᲝᲡ ᲨᲔᲯᲔᲮᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 10 ოქტომბრისათვის ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა. შეტეხილია 13.151.000 ზონარმეტრი თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.700.000 ზონარმეტრისა. დავალება განაღდებულია 103,5 პროცენტით.

გეგმის გადამეტებით თამბაქოს შეტეხა გრძელდება.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ



ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. კამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა დაამთავრეს პირველი აგრეგატის მონტაჟი. ამჟამად წარმოებს ელექტრომოწყობილობის მონტაჟი, გაჰყავთ მოლოტოვ-სვერდლოვსკის მაღალვოლტიანი ხაზი. **სურათზე:** კამის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაშვები კაშხალის საერთო ხედი.

ფოტო ბ. ვიზულიასი
(საკდესის ფოტოქრონიკა).



ᲣᲖᲑᲔᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ. ი. ბ. სტალინის სახელობის ტაშკენტის საფეიქრო კომბინატის კოლექტივი ახალ წარმატებებს აღწევს არსებულ საწარმოო ფართობებზე ქსოვილების დამატებითი გამოშვებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. **სურათზე:** კომბინატის მე-2 საფეიქრო-სართავი ფაბრიკის სართავ საამქროში.

ფოტო ლ. პორტერისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

8 ოქტომბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში სოფლის მეურნეობის მოწინავეები — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები შეხვდნენ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მოწინავეებს.

კრება გახსნა მოსკოვის პროფესიულ კავშირთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კრესტიანინოვმა. მუშათა კლასისა და გლეხობის უოდეევი მეგობრობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამოფენის დირექტორის მოადგილემ ამხ. ტროშინმა.

შეხვედრაზე ილაპარაკეს გამოფენის მონაწილეებმა. მათ აღნიშნეს, თუ რა უდიდეს დახმარებას უწევს მრეწველობა სოფლის მეურნეობას, თქვეს, რომ მუშებისა და ინჟინრების შექმნილი მძლავრი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება საშუალებას იძლევა განავითარონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი.

მოსკოვის საწარმოთა მუშაკებმა განაცხადეს, რომ ღირსებად მიაჩნიათ მიიღონ მონაწილეობა საერთო მუშაობაში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ᲠᲙᲘᲜᲐᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში აშენებს რკინაბეტონის ნაკეთობის 32 ქარხანას და აფართოებს მთელ რიგ არსებულ საწარმოებს.

რკინაბეტონის ნაკეთობის მძლავრი ქარხნები შენდება ლენინგრადში, სტალინგრადში, სვერდლოვსკსა და ჩელიაბინსკში. ყოველი მათგანის წარმადობა წელიწადში იქნება 120 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი კონსტრუქცია და დეტალი.

ქარხნების მშენებლობა, რომელთა წარმადობა წელიწადში 60 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაკეთობა იქნება, დაიწყო კრასნოიარსკში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში, კუიბიშევსა და ჩვენი ქვეყნის სხვა უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მოსკოვის ოქტომბერ რიგ ქალაქებში შენდება ქარხნები წელიწადში 30 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის დეტალების სიმძლავრისა.

ახალი ქარხნები საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისათვის გამოუშვებენ მრავალნაირ პროდუქციას — რკინაბეტონის ასაწყობ სვეტებსა და ზეწრებს, სახურავების მრავალფენიან და ხშირწიბოვან პანელებს, სახურავების მსუბუქი და უჯრედული ბეტონების ფენილებს, კედლისა და ტიხრის პანელებს, კიბის მარშებსა და ბაქნებს, ასაწყობი საძირკვლების ბლოკებსა და სხვა ნაკეთობას.

ᲠᲙᲘᲜᲐᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში აშენებს რკინაბეტონის ნაკეთობის 32 ქარხანას და აფართოებს მთელ რიგ არსებულ საწარმოებს.

რკინაბეტონის ნაკეთობის მძლავრი ქარხნები შენდება ლენინგრადში, სტალინგრადში, სვერდლოვსკსა და ჩელიაბინსკში. ყოველი მათგანის წარმადობა წელიწადში იქნება 120 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი კონსტრუქცია და დეტალი.

ქარხნების მშენებლობა, რომელთა წარმადობა წელიწადში 60 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაკეთობა იქნება, დაიწყო კრასნოიარსკში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში, კუიბიშევსა და ჩვენი ქვეყნის სხვა უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მოსკოვის ოქტომბერ რიგ ქალაქებში შენდება ქარხნები წელიწადში 30 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის დეტალების სიმძლავრისა.

ახალი ქარხნები საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისათვის გამოუშვებენ მრავალნაირ პროდუქციას — რკინაბეტონის ასაწყობ სვეტებსა და ზეწრებს, სახურავების მრავალფენიან და ხშირწიბოვან პანელებს, სახურავების მსუბუქი და უჯრედული ბეტონების ფენილებს, კედლისა და ტიხრის პანელებს, კიბის მარშებსა და ბაქნებს, ასაწყობი საძირკვლების ბლოკებსა და სხვა ნაკეთობას.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲭᲔᲠᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ტერნოპოლის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 4.835 ათასი ფუთით მეტი მარცვალი, ვიდრე შარშან ამავე დროს. აქედან საშემოდგომო ხორბალი — 1.555 ათასი ფუთით მეტი. წიწიბურას და ფეტვის ჩაბარების გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უზრუნველყვეს თავიანთი თავი საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თესლით და ქმნიან საფურაჟე ფონდებს. კოლმეურნეობები ავანსს აძლევენ კოლმეურნეებს შრომადღეებზე და განაგრძობენ პურის გაყიდვას შესყიდვის წესით.

ამჟამად ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები ამთავრებენ პურეულის გალეწვას და დაძაბულად მუშაობენ შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და საკვები კულტურების მოსავლის ასაღებად და მეცხოველეობისათვის საკვების დასაგროვებლად.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲕᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ვოლინის ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა მარცვალი 1.600 ათასი ფუთით მეტი, მათ შორის ხორბალი — 440 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის იყო ჩაბარებული.

ოლქის კოლმეურნეობებმა სავსებით უზრუნველყვეს თავიანთი თავი მარცვლეული კულტურების თესლით 1955 წლის მოსავლისათვის, ინახავენ საფურაჟე და სადაზღვევო ფონდებს, განაგრძობენ სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარებას მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ასანაზღაურებლად, პურს ყიდიან სახელმწიფო შესყიდვის წესით და კოლმეურნეებს მარცვლეულს აძლევენ შრომადღეებზე.

ამჟამად ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა დროზე დაამთავრონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო და ვადამდე შეასრულონ კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, სელის ბოჭკოს, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები, აგრეთვე მუშაობენ საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად.

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

8 ოქტომბერს გამოფენაზე მოხდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეთაურთა შეხვედრა. დილის 10 საათისათვის კონფერენც-დარბაზში შეიკრიბა ჩვენი ქვეყნის ნრავალი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ათასზე მეტი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის დირექტორი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

კურგანის ოლქის შადრინსკის მტს-ის აგრონომმა ვ. მუხაჭეტიანოვმა ილაპარაკა, რომ შვიდსავე კოლმეურნეობაში, რომლებსაც სადგური ემსახურება, დანერგილია კოლმეურნე მეცნიერის ტ. ს. მალცევის მიერ შეჭუშავებული ნიადაგის დამუშავების სისტემა. ყველა საოსფლო-სამეურნეო არტელი იღებს მარცვლეული კულტურების მყარ მოსავალს. მიმდინარე წელს 4.360 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ აიღეს 16.9 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი, ხოლო კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“, სადაც ამხ. მალცევი მუშაობს, 943 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ აიღეს 31 ცენტნერი მარცვლეული. ახლა მტს-ი ამხ. მალცევის მიერ შემუშავებული წესით აჭუშავებს ნიადაგს მომავალი წლის მოსავლისათვის.

— ჩვენ ვიბრძოლეთ იმისათვის, — თქვა დასასრულ ამხ. მუხამეტიანოვმა, — რომ 1955 წელს ყველა ის კოლმეურნეობა, რომელსაც მტს-ი ემსახურება, გახდეს განოფენის მონაწილე.

ლიტვის სსრ კალვარიის რაიონის მილიონერი კოლმეურნეობა „ტარიბუ ლეტუვა“ მრავალდარგოვანი მეურნეობაა. ამ იღებენ სელისა და შაქრის ჭარხლის კარგ მოსავალს, ზრდიან პირუტყვის სულადობას, აუმჯობესებენ მის პროდუქტიულობას. წელს ერთი ჰექტარი სახნავი მიწის შემოსავალი შეადგენდა დაახლოებით 800 მანეთს, ხოლო 1955 წელს კოლმეურნეებმა დასახეს მიიღონ უკვე ათასი მანეთი თვითეულ ჰექტარზე. ყოველივე ამის შესახებ ილაპარაკა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. სტატულიავიჩუსმა.

— სახნავი მიწის შემოსავლის გადიდებაში, — თქვა მან, — ჩვენ ხელს შეგვიწყობს გამოფენის მონაწილე საუკეთესო მეურნეობათა უმდიდრესი გამოცდილების გამოყენება.

შეხვედრაზე განოსულმა კიევის ოლქის ობუხოვის რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. მატვეენკომ, თათრეთის სსრ ტიულიაჩის მთავარმა აგრონომმა მ. სადიკოვმა, ესტონეთის კომუნისტური პარტიის ტიურის რაიონული კომიტეტის მდივანმა ლ. რუმბახმა და სხვებმა ილაპარაკეს თავიანთი კოლმეურნეობებისა და მტს-ების მიღწევებზე, ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ისინი ყოველივე საუკეთესოს, რაც განოფენაზე ნახეა. (საკდესი).

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

8 ოქტომბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში სოფლის მეურნეობის მოწინავეები — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები შეხვდნენ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მოწინავეებს.

კრება გახსნა მოსკოვის პროფესიულ კავშირთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კრესტიანინოვმა. მუშათა კლასისა და გლეხობის უოდეევი მეგობრობის შესახებ მოხსენება გააკეთა გამოფენის დირექტორის მოადგილემ ამხ. ტროშინმა.

შეხვედრაზე ილაპარაკეს გამოფენის მონაწილეებმა. მათ აღნიშნეს, თუ რა უდიდეს დახმარებას უწევს მრეწველობა სოფლის მეურნეობას, თქვეს, რომ მუშებისა და ინჟინრების შექმნილი მძლავრი ტექნიკის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება საშუალებას იძლევა განავითარონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი.

მოსკოვის საწარმოთა მუშაკებმა განაცხადეს, რომ ღირსებად მიაჩნიათ მიიღონ მონაწილეობა საერთო მუშაობაში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ᲠᲙᲘᲜᲐᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო ახლა ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში აშენებს რკინაბეტონის ნაკეთობის 32 ქარხანას და აფართოებს მთელ რიგ არსებულ საწარმოებს.

რკინაბეტონის ნაკეთობის მძლავრი ქარხნები შენდება ლენინგრადში, სტალინგრადში, სვერდლოვსკსა და ჩელიაბინსკში. ყოველი მათგანის წარმადობა წელიწადში იქნება 120 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი კონსტრუქცია და დეტალი.

ქარხნების მშენებლობა, რომელთა წარმადობა წელიწადში 60 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის ნაკეთობა იქნება, დაიწყო კრასნოიარსკში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში, კუიბიშევსა და ჩვენი ქვეყნის სხვა უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მოსკოვის ოქტომბერ რიგ ქალაქებში შენდება ქარხნები წელიწადში 30 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის დეტალების სიმძლავრისა.

ახალი ქარხნები საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისათვის გამოუშვებენ მრავალნაირ პროდუქციას — რკინაბეტონის ასაწყობ სვეტებსა და ზეწრებს, სახურავების მრავალფენიან და ხშირწიბოვან პანელებს, სახურავების მსუბუქი და უჯრედული ბეტონების ფენილებს, კედლისა და ტიხრის პანელებს, კიბის მარშებსა და ბაქნებს, ასაწყობი საძირკვლების ბლოკებსა და სხვა ნაკეთობას.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 37-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲝ�გᲝᲠᲡᲙᲘ. დიდ წარმატებებს ნიაღწიეს საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მეცრმმედეებმა. თვის დამდეგიდან მათ ბევრი თუჯი გამოუშვეს გეგმის გადაჭარბებით.

ყოველ საღამოს № 4 ცრმედის საკერძეზე ინთება ელექტროვარსკვლავი. ეს იწ მოწინავე კოლექტივის შრომითი მამაცობის სიმბოლოა, რომელმაც ყველაზე დიდ მაჩვენებლებს მიაღწია ზეგეგმითი ლითონის გამოდნობაში. ოქტომბრის ათი დღის მანძილზე ღუნელის ოსტატების ამხ. გორნოსტაევის, ბელიკოვისა და რიეოვის ბრიგადებმა გეგმის დამატებით გამოუშვეს დაახლოებით 600 ტონა თუჯი. თვითეულ ტონა გამოდნობილ ლითონზე ისინი ზოგავენ 35 კილოგრამ კოქსს.

ᲑᲐᲥᲝ. ასობით კვადრატულ კილომეტრზე გადაიჭიმა მინგეჩაურის ახალგაზრდა ზღვა. მისი სიღრმე უკვე 50 მეტრს აღწევს. მალე წყლის დონე კიდევ უფრო მაღლა აიწევს და საპროექტო ნიშანს მიაღწევს.

მტკვრის წყალი გროვდება ნინგეჩაურის ზღვაში არა მარტო ჰიდროელექტროსადგურისათვის, არამედ აზერბაიჯანის დაბლობის ველების მორწყვისთვისაც. თვითმფრინავიდან ჩანს, თუ რა შორს მიდის მინგეჩაურიდან ზემო ყარაბაღის მაგისტრალური არხის ტრასი. მისი მშენებლობა ჰესის ნშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს. არხი გაყვანილია ყარაბაღისა და მილის ველების ნაყოფიერ მიწებზე ბანვითარებული მეხბაღეობის რაიონებში.

ზემო ყარაბაღის არხი აზერბაიჯანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საირიგაციო ნაგებობაა. თავისი სიმძლავრით იგი ერთნახევარჯერ აღემატება ფერგანის დიდ არხს. ქმნიდნენ რა არხის კალაპოტს, ნეექსკავატორიებმა ამოიღეს ხუთ მილიონზე მეტი კუბური მეტრი გრუნტი.

არხი წყალს მიაწვდის ათეულ ათასობით ჰექტარ საკოლმეურნეო მინდვრებს. მაგრამ მისი როლი ამით არ ისაზღვრება. ზემო ყარაბაღის არხი, რომელიც არ ჩამოუვარდება ზოგიერთი მდინარის მასშტაბებს, უნდა გადაიქცეს არაქსის კვებია წყარად, რომელიც ძლიერ იკლებს ზაფხულის თვეებში.

ახლა არხის კალაპოტში წყალი ჯერ კიდევ არ არის. მაგრამ წლის დამლევამდე მისი პირველი რიგი სიგრძით 60-ზე მეტი კილომეტრი — მინგეჩაურის ზღვიდან მდინარე ტერტერ-ჩაიმდე — მწყობრში უნდა ჩადგეს. (საკდესი).

ᲐᲠᲐᲥᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

ᲑᲐᲥᲝ. ასობით კვადრატულ კილომეტრზე გადაიჭიმა მინგეჩაურის ახალგაზრდა ზღვა. მისი სიღრმე უკვე 50 მეტრს აღწევს. მალე წყლის დონე კიდევ უფრო მაღლა აიწევს და საპროექტო ნიშანს მიაღწევს.

მტკვრის წყალი გროვდება ნინგეჩაურის ზღვაში არა მარტო ჰიდროელექტროსადგურისათვის, არამედ აზერბაიჯანის დაბლობის ველების მორწყვისთვისაც. თვითმფრინავიდან ჩანს, თუ რა შორს მიდის მინგეჩაურიდან ზემო ყარაბაღის მაგისტრალური არხის ტრასი. მისი მშენებლობა ჰესის ნშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს. არხი გაყვანილია ყარაბაღისა და მილის ველების ნაყოფიერ მიწებზე ბანვითარებული მეხბაღეობის რაიონებში.

ზემო ყარა

დავძლიოთ ჩამორჩენა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში

რატომ ითმენენ ნაკლოვანებებს?

მეცხოველეობა სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავლიანი, მომგებიანი დარგია. ამიტომ ბუნებრივია, რომ კოლმეურნეები მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ამის შედეგად ისინი მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ. ამჟამად კოლმეურნეობაში შენდება მექანიზებული ფერმა 87 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. ტიპური სადგომები შენდება აგრეთვე ლეძაძამის სტალინის სახელობის და ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში.

მაგრამ მარტო ერთეულ კოლმეურნეობათა წარმატებები როდი წყვეტს საქმეს. ზევრგან კვლავ იგრძნობა უპასუხისმგებლობა. წელს ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია სტანდარტული სადგომების აშენება 1.000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. მაგრამ ბინები დღემდე აგებულია მხოლოდ 85 სულისათვის.

პირუტყვისათვის ბინების მშენებლობაში ყველაზე მეტი თვითდამშვიდება სუფევს სოფელ გეჯეთის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ არ იყენებენ, არსებულ შესაძლებლობებს. ამიტომ მეცხოველეობაში მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად უარესდება. შარშანდელთან შედარებით წელს აქ ბევრად ნაკლები პირუტყვი ჰყავთ. მეტად მცირეა პროდუქტიულობა. მაგალითად, ფერმაში გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი ლიტრი რძის ნაცვლად 11 თვეში მიიღეს მხოლოდ 10 ათასამდე ლიტრი რძე.

კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე პ. ჯღამაძე) და პარტიული ორგანიზაცია (მდივანი გ. ოჩიგავა) არ ზრუნავენ პირუტყვის კეთილმოწყობილი სადგომებით უზრუნველყოფისათვის. ჩაიშალა საღორისა და საფრინველის მშენებლობა. პარტიულ ორგანიზაციას ეს საკითხი არც კი განუხილავს.

უნდა აღინიშნოს, რომ რაისაბჭოს აღმასკომის კოლმეურნეობებში მშენებლობის განყოფილება არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ბინათმშენებლობის საქმეს. მოუქნელად მუშაობენ ცეკავშირი და საქსოფლტყედამზადების ტრესტი. წელს მარტო ცეკავშირს რაიონში უნდა შემოეზიდა 1.590 კუბური მეტრი მრგვალი ხე-ტყე. დაპირება ქაღალდზე დარჩა. შიფერი მიღებულია 19.820 ცალი ნაცვლად 195.000 ცალისა, ცემენტი მიიღეს 56,5 ტონა, გეგმა კი 450 ტონას ითვალისწინებდა.

ზოგჯერ ხდება ასეც: რაიონში ისეც მცირე რაოდენობით შემოზიდული საშენი მასალა, რომელიც მეცხოველეობის საჭიროებას უნდა მოხმარდეს, არადანიშნულებისამებრ იხარჯება. მაგალითად, 19.820 ცალი შიფერიდან კოლმეურნეობებმა მიიღეს მხოლოდ 8 ათასი ცალი, 8,5 ტონა თუნუქიდან — 5,5 ტონა. ასეთივე მდგომარეობაა სხვა მასალების განაწილების მხრივაც. ამაში ბრალი უმთავრესად რაიკოოპკავშირის გამგეობას მიუძღვის.

ეს და ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალები ნათლად მოწმობენ, რომ პარტიის ცხაკაიას რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი ქმედით ზომებს არ იღებენ პირუტყვისათვის ბინების მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ა. პატარაია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საქსოვი საამქროს კოლექტივი დადგა სტახანოვურ ვახტზე. ვახტზე დგომისას მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით დაწინაურდა მქსოველი მარიამ წყარუაშვილი.
სურათზე: (წინა პლანზე) — მ. წყარუაშვილი თავის სამუშაო ადგილზე.
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

საკდესი უარყოფს

ინგლისის რეიტერის სააგენტომ ამ დღეებში გაავრცელა ცნობა კანადის სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსის ვიცე-ადმირალ მეინგაის განცხადების შესახებ, რომ თითქოს „უკანასკნელ 18 თვეში“ განუწყვეტლივ იღებდეს ცნობებს საბჭოთა წყალქვეშა ნავების აქტივობის შესახებ კანადის წყნარი ოკეანისა და ატლანტიკის სანაპიროს ახლოს. ცნობაში აღნიშნულია, რომ ვიცე-ადმირალმა მეინგაიმ ამასთან დაიმოწმა ინფორმაციაც, რომელიც მიღებულია ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ინფორმაციის — „ატლანტიკის“ თანამეგობრობის წარმომადგენლისაგან.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ აღნიშნული მტკიცება საბჭოთა წყალქვეშა ნავების შესახებ უხეში მონაჭორია.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის შორეულ საზოგადოებებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის წილის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გადაცემის შესახებ

ამ უკანასკნელ დროს სსრ კავშირის მთავრობამ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ განიხილეს საკითხი საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის გემმშენებლობის, საშენ მასალათა მშენებლობისა და წარმოების და სამოქალაქო ავიაციის შორეულ საზოგადოებათა საქმიანობის შესახებ, რომლებიც დაარსდა რამდენიმე წლის წინათ პარიტეტულ საწყისებზე, რათა ხელი შეეწყოთ ბულგარეთის მრეწველობისა და ტრანსპორტის შესაბამისი დარგების განვითარებისათვის.

საზოგადოებათა საქმიანობის დროს მასში მხარეებმა დაბანდეს დიდი კაპიტალი, ამასთან საბჭოთა კავშირმა თავის შესატანთა ანგარიშში მიაწოდა ამ საზოგადოებებს თანამედროვე მოწყობილობა და საჭირო მასალები. კაპიტალდაბანდებათა და მხარეთა შორის შეთანხმებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა საზოგადოებათა საწარმოების სიმძლავრე და ამაღლდა საერთო ტექნიკური დონე. აღნიშნულ საზოგადოებათა საქმიანობის განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე ტექნიკურმა დახმარებამ, რომელიც საბჭოთა ორგანიზაციებმა გაუწიეს ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემითა და სპეციალისტების მივლინებით საზოგადოებათა საწარმოებში სამუშაოდ.

გაითვალისწინეს რა, რომ აღნიშნულმა საზოგადოებებმა შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანები, ორივე მთავრობა შეთანხმდა იმაზე, რომ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას გადაეცეს ამ საზოგადოებებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის წილი.

ამის შესაბამისად 1954 წლის 9 ოქტომბერს სოფიაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას აღნიშნულ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის შორეულ საზოგადოებებში საბჭოთა მონაწილეობის წილის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მიყიდვისა და გადაცემის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საზოგადოებებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის წილის ღირებულებას, რომელიც ბულგარეთს უნდა გადაეცეს, ბულგარეთის მხარე აანაზღაურებს შეღავათიან პირობებში, გადასახდელთა გახანგრძლივებით მთელი რიგი წლების მანძილზე.

საზოგადოებებში მონაწილეობის საბჭოთა კავშირის წილის ბულგარეთისათვის გადაცემა სსრ კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრული ურთიერთობის გამოხატულებაა და ხელს შეუწყობს მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას ორივე მხარეს შორის.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ე. ეროხინმა, ბულგარეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ჟივკოვმა.

საბჭოთა კავშირ-ირანის კონფერენცია მცენარეთა დაცვის საკითხებზე

საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ირანის მთავრობას შორის სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის შესახებ 1935 წელს დადებული კონვენციის შესაბამისად 8 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ირანის მერვე კონფერენცია.

კონფერენცია განიხილავს კალიისა და ბამბის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე დასახავს ერთობლივ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განახორციელოს ორივე მხარემ.

კონფერენცია რამდენიმე დღეს გასტანს. (საკდესი).

შარშანდელი მაგალითი აღარ გამეორდება

მეცხოველეობას გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობაში წინათ სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. სულადობის გეგმები არ სრულდებოდა, ნამატის საგრძნობი რაოდენობა მოუკლელობით იხოცებოდა, წველადობა სავალალო მდგომარეობაში იყო, თვითეული საფურაქე ძროხა წლიურად სამას-ოთხას ლიტრ რძეს ძლივს იწველიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მეცხოველეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. გაიზარდა ამ საქმით დაინტერესება.

რით დაიწყეს გურჯაანელებმა? პირუტყვისათვის კულტურული ბინების მოწყობით. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან წლების მანძილზე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ძველ, კეთილმოუწყობელ ბინებში ჰყავდათ მოთავსებული. ახლა 60 სული ძროხისათვის კარგი სადგომი ააგეს. შიგ ავტოსარწყველებები გამართეს, საკვების მისაწოდებლად და წაკელის გასატანად საბაგირო კიდული გზა მოაწყეს. საკვების შესამზადებელ განყოფილებაში ჭარხალს რეცხავენ და კუწავენ, სიმინდს როშავენ, აწარმოებენ თივისა და ნამჯის ჩაორთქვლას.

კოლმეურნეობაში განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისადმი. გამგეობამ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ა. დავითაშვილი) საკვებმოპოვების ბრიგადა შრომისმყვარე კოლმეურნეებით დაკომპლექტა.

წელს აქ 3.740 ცენტნერი თივა დაამზადეს, მაშინ როცა შარშან ამის ნახევარიც არ ჰქონდათ. ჩადეს 515 ტონა სილოსი გეგმით გათვალისწინებული 400 ტონის ნაცვლად. 8.900 ცენტნერი ნამჯა პირუტყვის ბინებთან მიზიდეს.

გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის 600-ზე მეტ სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს საუკეთესოდ გამოაზამთრებენ.

ს. ძოწლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მესჯიეღ მეცხოველეებთან

გასულ წელს მესტიის რაიონში ადრე მოვიდა თოვლი. ზევრმა კოლმეურნეობამ ვერ მოასწრო თივის მთლიანად აღება და საკვების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში წელს გათვალისწინეს ეს ჩაკცრი გაკვეთილი, უფრო ორგანიზებულად და მზრუნველობით მოეკიდნენ საკვების დაგროვებას. მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელებმა მოასწრეს ზალახის თიბვა მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დაწყებამდე. თივის მოსავალი მაღალია, ადგილი არ ჰქონია დანაკარგებს.

ნაკრის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც კომუნისტი ვ. ქალდანი ხელმძღვანელობს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.600 ცენტნერისა დაამზადა 3.554 ცენტნერი ხარისხიანი თივა.

მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე აგრონომი ალ. ჯაფარიძე) 200 ჰექტარ ფართობზე უდანაკარგოდ აიღეს 4.760 ცენტნერი ხარისხოვანი თივა. აქ შარშანდელთან შედარებით 1.000 ცენტნერით ნეტი თივა მიიღეს. დიდი რაოდენობით ექნებათ წვნიანი საკვები — სილოსიც.

ფარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში წარსულ წლებში საკვების ნაკლებობის გამო დაბალი იყო მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ადგილი ჰქონდა პირუტყვის სიკვდილიანობას. მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობას სათავეში ჩაუდგა სამამულო ომის მონაწილე ამხ. ზიძინა ცალონი, საქმე გამოსწორდა. კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგად წელს აქ ნაცვლად 1.500 ცენტნერისა დამზადდა 1.640 ცენტნერი ხარისხოვანი თივა. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 20-21 ცენტნერი ბალახი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა.

საკვების დამზადების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე წვირმის მალენკოვის სახელობის, მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ტ. არღვლიანი.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები შაბრიკა

მახარაძე. (საკ. კორ.). ლაითურის ჩაის ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივმა შესანიშნავი ნაჩვენებლებით დაამთავრა მიმდინარე სეზონის მეორე კვარტალი — უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციის გამომშვების გეგმა გაანაღდა 120 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გაადიდა 45,5 პროცენტით, დაზოგა 19.900 კილოვატსაათი ელექტროენერგია, სოციალისტურ სამშობლოს ნისცა 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრომ და სასურსათო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს ლაითურის ჩაის ფაბრიკა და მიანიჭეს მას გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები საწარმოს წოდება. ფაბრიკამ მიიღო ნეორე საკავშირო ფულადი პრემია.

საუკეთესო პროდუქციის გამომშვები საამქროს წოდება მიენიჭა ამ ფაბრიკის დამხარისხებელ და შემფუთავ საამქროებს (საამქროების უფროსები პ. მუჯირი, ს. ფროლოვი).

მტს-ის ახალი კანტორა

აბაშა. (საკ. კორ.). აბაშის მტს-ს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატისათვის დღემდე შესაფერი ბინა არ ჰქონდა. წელს დაიწყო და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მტს-ის ახალი კაპიტალური კანტორის მშენებლობა.

კანტორის შენობა ორსართულიანია, 28 ოთახით. აქ მოთავსდება ნტს-ის ადმინისტრაციული და სადისპეტჩერო აპარატი.

კანტორის მშენებლობა, რაც 270 ათასი მანეთი დაჯდება, მიმდინარე წლის ბოლოსათვის დამთავრდება.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ააშენეს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც ვითარდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით.

საბჭოთა საზოგადოების თავისებურება კაპიტალისტური საზოგადოებისაგან განსხვავებით ის არის, რომ მასში აღარ არიან ანტაგონისტური კლასები. ჩვენს ქვეყანაში მუშები, გლეხები და ინტელიგენცია მეგობრული თანამშრომლობისა და ინტერესთა ერთიანობის საფუძველზე ცხოვრობენ და მუშაობენ. ამ ერთობის საფუძველზე წარმოიშვა და განვითარდა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთი მძლავრი მამოძრავებელი ძალა, რომელიც მკვეთრად გამოხატავს საბჭოთა საზოგადოების ახალ შინაარსს.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც საბჭოთა ხალხის უდიდესი ისტორიული მონაპოვარია, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე როდი შექმნილა. იგი იქმნებოდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის მეოხებით სასტიკი კლასობრივი ბრძოლის პირობებში, სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ინტერესთა ერთობა შეუძლებელი იყო, სანამ ჩვენში კაპიტალისტური ელემენტები არსებობდნენ. იგი შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მეორე ფაზაში, როცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმი ავაშენეთ. მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი გამარჯვებული სოციალიზმია.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში მსოფლიოში პირველმა დაამხო იმპერიალისტური ბურჟუაზია და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის განმტკიცებისა და განვითარებისათვის ბრძოლა იყო და არის ბრძოლა კომუნიზმისათვის.

ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და განვითარებისათვის უდიდესი ბრძოლები გადაიხადეს კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ლენინურ-სტალინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიისა და ხალხის მტრების — ტროცკისტ-ზინოვიეველ-ბუხარინელების წინააღმდეგ, რომლებიც მეორე ინტერნაციონალის ბურჟუაზიულ-რეფორმისტ ლიდერებთან ერთად გაიძახოდნენ, თითქოს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის შეურიგებელი ინტერესები არსებობს. ხალხის მტრებს სურდათ დაეშინებინათ მუშათა კლასი, ჩაენერგათ მისთვის საკუთარი ძალებისადმი ურწმენობა, გაეტეხათ მშრომელ მასებში სოციალიზმის გამარჯვების რწმენა, დაეპირისპირებინათ ერთმანეთისათვის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინურ-სტალინური მოძღვრება იძლეოდა ხათელ ცოდნასა და მტკიცე გარანტიას, რომ მუშათა კლასი გაიყოლებდა მშრომელ გლეხობას და მასთან ხელიხელჩაკიდებული ააშენებდა სოციალიზმს, რადგან ამ ორივე კლასის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდნენ კაპიტალიზმის ლიკვიდაციას და სოციალიზმის აშენებას, ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნას, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, პოლიტიკური და ეკონომიური დაპირისპირება.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ (ნეპმა), რომელიც პროლეტარული სახელმწიფოს ერთადერთი სწორი პოლიტიკა იყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში, შეესაძლებლობა მისცა მუშათა კლასსა და მის კომუნისტურ პარტიას შეექმნათ მტკიცე ეკონომიური კავშირი სახელმწიფო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, შეექმნათ სოციალიზმის მტკიცე ეკონომიური ბაზა, რაც ქმნიდა კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების გამარჯვების ნამდვილ გარანტიას.

სოციალიზმმა პოლიტიკურად ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით გაიმარჯვა, რაც სოციალიზმის აშენების მთავარი პირობა იყო. სოციალიზმის გზით წინსვლას თან სდევდა კლასობრივი წინააღმდეგობის ზრდა ქვეყნის შიგნით და შინაპარტიული ბრძოლის გამწვავება. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებას ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლები დასჭირდა. ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით მიღწეულ იქნა იმის შედეგად, რომ ახალი ძალით განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი, განხორციელდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

1936 წლისათვის სსრ კავშირის ეკონომიკა სავსებით შეიცვალა. ამ დროისათვის მთლიანად ლიკვიდირებული იყო კაპიტალისტური ელემენტები. სოციალისტურმა სისტემამ გაიმარჯვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ექსპლოატატორული კლასების მოსპობამ, მტკიცე კავშირმა ორ მშრომელ კლასს — მუშებს და გლეხებს შორის განაპირობა საბჭოთა საზოგადოების ახალი შინაარსი — ყველა მისი სოციალური ჯგუფის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. თავის მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე 1936 წლის 25 ნოემბერს ი. ბ. სტალინი ანალიზს უკეთებდა რა ჩვენი ქვეყნის მიერ 1924-დან 1936 წლამდე განვლილ პერიოდს, აღნიშნავდა: იმის გამო, რომ ექსპლოატატორული კლასები არ არსებობენ და ძალაუფლების სათავეში დგას მუშათა კლასი, „ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე. გაქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, მათ განუვითარდათ ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამრიგად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში“.

გამარჯვებული საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ეკონომიური საფუძველია წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. კაპიტალისტური კერძო საკუთრებისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანებს თიშავს მტრულ ჯგუფებად, სოციალისტური საკუთრება ადამიანებს მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან. სოციალისტური საკუთრების ორი ფორმა — სახელმწიფოებრივი და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო — აერთიანებს ქალაქისა და სოფლის მშრომელებს ეკონომიურად და მორალურად საბჭოთა საზოგადოების ერთიან კოლექტივში.

ამრიგად, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას საფუძვლად უდევს ხალხთა ერთიანი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები, მათი ერთიანი რევოლუციური მსოფლმხედველობა.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობასთან განუყრელ კავშირშია ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი. ამ მამოძრავებელ ძალებს ერთი საერთო ეკონომიური, პოლიტიკური და იდეური საფუძველი აქვთ.

საბჭოთა საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ერთობას მთელი სიცხადით ასახავს სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია, რომელმაც საკანონმდებლო წესით განამტკიცა სოციალიზმის გამარჯვების ფაქტი, ბოლომდე თანმიმდევრული სოციალისტური დემოკრატია, რომელიც უმაღლესი ტიპის დემოკრატიაა.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი უმაგალითო ძალა და გაქანება განსაკუთრებით გამოვლინდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში.

ფაშისტი დამპყრობლები ფიქრობდნენ, რომ ფაშისტური არმიების შეტევის შედეგად დაინგრეოდა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — სსრ კავშირი, მოხდებოდა აქ ხალხთა გათიშვა, ურთიერთდაპირისპირება. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირი არათუ არ დაინგრა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, არამედ, პირიქით, უფრო განმტკიცდა, ახალი ძალით წარსდგა კაცობრიობის წინაშე როგორც მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალიზმის ურყევი ბურჯი, როგორც საჭელმწიფო, სადაც შექმნილია საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ცხოველმყოფელი ძალის დამამტკიცებელია ის, რომ საბჭოთა ხალხმა ომის დამთავრების შემდეგ უმოკლეს ვადაში მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები. 1948 წელს სამრეწველო პროდუქციამ ჩვენში არა მარტო მიაღწია ომამდელი 1940 წლის დონეს, არამედ დიდადაც გადააჭარბა მას. მეოთხე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით განხორციელების და მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წლიური გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ ახალი ნაბიჯები გადადგა წინ, კომუნიზმის გზაზე.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ მთელი ძალით იჩინა თავი ჩვენი პარტიის XIX ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის ისტორიული პლენუმებისა და პარტიისა და მთავრობის სხვა გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობა. ამ გადაწყვეტილებათა შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით და პარტიისადმი უსაზღვრო ნდობითა და სიყვარულით აიხსნება ის, რომ საბჭოთა ხალხი ენთუზიაზმით შეხვდა პარტიის მოწოდებას ყაზახეთის, ალტაის მხარის, ციმბირისა და სხვა რაონების ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ. მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შედეგია აგრეთვე ყველა საბჭოთა მშრომელის მჭიდრო დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გარშემო სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

მართალია, საბჭოთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ხალხთა ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ინტერესების ერთობა, მაგრამ იგი როდი ვითარდება მოვლენათა ჰარმონიული გაშლის წესით. საბჭოთა საზოგადოებას აქვს წინააღმდეგობანი, მაგრამ ეს წინააღმდეგობანი ანტაგონისტური როდია. თუ სოციალიზმამდელი საზოგადოების ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გადაჭრა ხდება კონფლიქტებით, აფეთქებებით, საბჭოთა საზოგადოების წინააღმდეგობანი გადაიჭრება არა აფეთქებებით, არამედ პარტიისა და მთავრობის სათანადო ღონისძიებებით.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, მართალია, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური წყობა ქმნის აუცილებელ ობიექტურ პირობებს მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვის, მაგრამ იგი ვითარდება არა თავისთავად, სტიქიურად, არამედ კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკისა და მის მიერ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შედეგად. კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და ყველა ჩვენი სხვა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომელიც კომუნისტური პარტიის ნაკადი რევოლუციური მეთოდია ახლისათვის ხელის შეწყობისა და მოძველებულის წინააღმდეგ ბრძოლაში. კრიტიკა და თვითკრიტიკა ადამიანებში მოძველებული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლის, მათში კოლექტივიზმისა და კომუნისტური მორალის აღზრდის მძლავრი იარაღია.

საბჭოთა საზოგადოება იზრდება და მტკიცდება. მშობლიური პარტიისა და მთავრობის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი კანონია ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ ჩვენი სამშობლო არის მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხისათვის იმის ნიმუში, თუ როგორი საზოგადოებრივი წყობილება უნდა შექმნან, რათა იცხოვრონ თავისუფლად, ბედნიერად, თუ რა გზით უნდა წავიდნენ კომუნიზმისაკენ.

ი. ფეიქრიშვილი.

წერილები რედაქციას

ვიღაპარაკოთ ფაქტების დასახელებით...

აქ თითქმის ყოველ კვირაში რამდენჯერმე ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები. ისინი უმთავრესად ეხებიან საზოგადოებრივი ქონების დაცვის, კომუნისტური მორალის, კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლის საკითხებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ლაპარაკობენ საერთოდ, ზოგადად, ადგილობრივ მტკივნეულ საკითხებთან დაუკავშირებლად, ფაქტების დაუსახელებლად. კრიტიკისა და თვითკრიტიკის მოდუნების გამო საწარმოს ნაკლოვანებები აქვს.

ამას წინათ თბილისის მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატის დირექციის დარბაზში მოქალაქემ პირდაპირ მიახალა მცველს: ვინც დარაჯად არის დაყენებული, ის ყველაზე მეტად არის სადარაჯოო!

ჰქონდა კი ამის საბაბი? კითხვაზე პასუხის გასაცემად ვალაპარაკოთ ფაქტები.

...გასული წლის 13 ოქტომბერს, შუადღისას, ხორცკომბინატის გამოსასვლელ კართან ამ საწარმოს თანამშრომელი შ. შალვაშვილი შეაჩერეს:

— რა მიგაქვს შეხვეული? — ჰკითხეს.

— არაფერი, ხორცის პაწაწა ნაჭერია, — ღიმილით უპასუხა. სწორად მოიქცნენ, რომ არ დაუჯერეს, გასინჯეს, შეამოწმეს. დაიწერა აქტი, რომელშიც ვკითხულობთ, რომ სასაკლაოს საამქროს მუშაკმა კომუნისტმა შ. შალვაშვილმა ჩაიდინა ქურდობა, სასპეკულაციოდ დიდი რაოდენობით მოიპარა ხორცი. ვრცელ აქტზე ხელი მოაწერეს დაცვის უფროსმა კომუნისტმა გ. ღვინიაშვილმა, კომკავშირელმა ზ. გვიმრაძემ. დამნაშავე შ. შალვაშვილმა აქტზე ხელის მოწერის შემდეგ განაცხადა:

— რა მოხდა ასეთი, მოპარულს გავყიდი, მარტო ხომ არ შევჭამ, მეგობრებო!..

აქტი მეორე დღესვე „სათანადო ზომების“ მისაღებად ხორცკომბინატის დაცვის უფროსს კომუნისტ ზ. კეკელიძეს გადაეცა.

იმის მაგვარად, რომ მას აქტი პროკურატურაში გადაეგზავნა ან დირექციისათვის ეცნობებინა, იგი უგზოუკვლოდ დაკარგა. ეს აქტი ერთი წლის შემდეგ ხორცკომბინატის ერთ-ერთი საამქროს ბრიგადირის ზ. კარაბახჩიანის ოჯახში გაჩნდა. საიდან, როგორ, რისთვის? მეტად საეჭვო და ჩამაფიქრებელია!

უფრო მეტიც. ქურდობის შემდეგ შ. შალვაშვილი პარტიის წევრობის კანდიდატობიდან პარტიის წევრად მიიღეს!

— ის, ვინც მარტო მეზობლის იმედით იქნება, უვახშმოდ დარჩება, — „ქვა მცველმა რ. რუსტამოვმა და დატრიალდა, ერთ-ერთი ქურდი ჯერ დაიჭირა, მერე მეორე კარიდან გააპარა, მაგრამ გაუგეს, დამნაშავის მფარველობისათვის გაასამართლეს. ბოლოს ის „მეზობლის“ იმედზე აღარ დამდგარა — თვითონ დაიწყო ქურდობაში მაგალითის მიცემა. მარტო ერთ დღეს საამქროდან სასპეკულაციოდ 14 კილოგრამი ძეხვი გამოათრია. დასჯის მაგიერ რუსტამოვი დააწინაურეს, ყოფილი დირექტორის კ. ქავთარაძის ბრძანებით საძეხვე საამქროში გადაიყვანეს.

— რა მოხდა, წვრილმანია! — ამბობს დამნაშავე.

— მართლაც წვრილმანია! — ადასტურებენ დირექციაშიც.

აქვე აღსანიშნავია ერთი დამახასიათებელი ფაქტიც. პარტბიუროს სამჯერ განიხილა დაცვის მდგომარეობის საკითხი, მიიღო საჭირო ღონისძიებანი, მაგრამ დადგენილებანი შეუსრულებელი დარჩა.

როგორც ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ, ხორცკომბინატში ყველაფერი რიგზე არ არის, ადგილი აქვს ძმაბიჭობას, დამნაშავე პირებისადმი წყალობას, საერთო საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

მართალია, აქ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროდან პასუხისმგებელი პირები ხშირად მოდიან, მაგრამ ზოგჯერ უკან ისე ბრუნდებიან, რომ „წვრილმანებს“ ვერ ამჩნევენ; ისინი ვერ ამჩნევენ კომბინატის მუშამოსამსახურეთა საცხოვრებელ ბინებში უწესრიგობას, ანტისანიტარიას; ისინი ვერ ამჩნევენ, რომ კლუბი ფორმალურად არსებობს, ხოლო ბიბლიოთეკა მუდამ დაკეტილია, ეს ალბათ მათ წვრილმანებად მიაჩნიათ!

პარტბიუროო (მდივანი ამხ. ვ. გერლიანი) მოუქნელად მუშაობს, მუშამოსამსახურეთა შორის დაბალ დონეზეა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

განა დრო არ არის თბილისის მოსახლეობის მომარაგების შესანიშნავ ბაზაში — ხორცკომბინატში მტკიცე წესრიგი დამყარდეს?

კ. ბამყრელიძე.

ჩამაფიქრებელი წვრილმანი...

ბრეთის საბჭოთა მეურნეობის დირექციაში ტელეფონის აპარატი კარგახანია დამუნჯდა. გადის დღეები, თვეები...

სულ უბრალო საქმისთვისაც კი რაიონის ცენტრში ფეხით ან ავტომანქანით უნდა ჩახვიდეთ. ამ აღმაშფოთებელი მდგომარეობის შესახებ მრავალი განცხადება და საჩივარი დაწერილა. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი ხელის ჩაქნევით ამბობს:

— რა ვუყოთ, წვრილმანებისთვის ჯერ არა გვცალია!

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს მეტისმეტად ჩამაფიქრებელი წვრილმანია.

ბ. ბოცირიძე.

მერიაში მშენებლები მოძრაობას აფერხებენ

სადგურ მერიაში დიდი ხნის წინათ დაიწყეს რკინიგზის განართული მუშაობისათვის მეტად საჭირო ბაქნის მშენებლობა, რომელიც 1954 წლის დასაწყისისათვის უნდა დამთავრებულიყო. მოვიდნენ მშენებლები, მოიტანეს კირი, აგური, სხვა საშენი მასალები, გათხარეს ქვაბული შენობის საფუძვლისათვის და... ისევ წავიდნენ, საშენი მასალებიც წაიღეს, ხოლო გათხრილი ქვაბული მიატოვეს.

წვინა მერიაში ოშვიათი როდია. ამჯერადაც წვიმის წყალმა მალე აავსო საძაფუძვლე ქვაბული, რომელიც მალარიის გავრცელებას ხელს უწყობს.

მეორე უხერხულობაც გამოიწვია ამ მიტოვებულმა მშენებლობამ. აუცილებელი გახადა ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის პირველი ლიანდაგის გამოყენება, ხოლო ეს კი აფერხებს მოძრაობას, ართულებს სადგურის კოლექტივის მუშაობას.

მერიელი მშრომელები ეოითხოვენ, რომ ამ მშენებლობის დამთავრების საჭიროებას ყურადღება მიაქციოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ.

გ. კახაძე,
სადგურ მერიის უფროსი.

საჭიროა დამაჯებითი ავტობუსები

რუსთავი უკვე მოზრდილი და კეთილმოწყობილი ქალაქი გახდა. როგორც ყოველ ქალაქს, ისე რუსთავსაც ახასიათებს ტრანსპორტის გაძლიერებული მოძრაობა, სხვა ქალაქებთან მიმოსვლის ზრდა. განსაკუთრებით დიდია მიმოსვლა თბილისსა და რუსთავს შორის. კვირადღეობით მგზავრების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათ გადაყვანას ვერ აუდიან ვერც ავტობუსები, ვერც რკინიგზის მატარებლები.

რუსთავის მშრომელები ხშირად მოგვმართავენ რკინიგზელებს განმარტებისათვის, თუ რატომ არ შეიძლება მატარებლის უფრო ხშირი რეისების წოწყობა. ამასთან ისინი სურვილს გამოთქვამენ, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტრომ გაითვალისწინოს კვირა და დასასვენებელ დღეებში თბილის-რუსთავს შორის სამგზავრო ავტობუსების დამატებით გამოყოფის საჭიროება.

საჭიროა სამინისტრომ დააკნაყოფილოს რუსთავის მშრომელთა ეს მოთხოვნა.

გ. საჯაია,
სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს ცვლის უფროსი.



ტუვარჩელი. მეშახტეების ახალი საცხოვრებელი სახლი ქვეზანში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სომხური დრამის თეატრში

თბილისის სახელმწიფო სომხურმა თეატრმა 1953-54 წლების სეზონში საზაფხულო გასტროლების დროს განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო კოლმეურნეთა კულტურულ მოსახურებას. ორი თვის განმავლობაში თეატრმა უჩვენა 70 წარმოდგენა. წარმოდგენებს ქმაყოფილებით შეხვდნენ ახალციხის, ახალქალაქის, აჯარის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეები.

საკოლმეურნეო კლუბებში გამართულ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ თეატრის მოწინავე მსახიობები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ლ. ალავერდიანი, ა. ზეროიანი, ა. ლუსინიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. ამირბეგიანი, ვ. გალუსტიანი, პაჰარე, მ. ბოჭორიანი, არტისტები ბ. ნერსესიანი, ა. ქაჯვორიანი, ე. სტეფანიანი, ვ. ჰაკობიანი, შ. ზარუთიანი და სხვები. წარმოდგენებს დაესწრო მრავალი ათასი მაყურებელი.

გარდა წარმოდგენებისა, თეატრის მხატვრულმა ბრიგადამ მოსავლის აღების დროს საკოლმეურნეო მინდვრებში კოლმეურნეებისათვის მოაწყო ხუთი კონცერტი. კოლმეურნეებს მინდვრებზე გულთბილი შეხვედრა ჰქონდათ მსახიობებთან.

ახალქალაქის რაიონის საკოლმეურნეო დრამატული წრის ხელმძღვანელებს საგრძნობი დახმარება გაუწია ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრის მთავარმა რეჟისორმა ფ. ბეკიანმა. თეატრის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა შეფობა გაუწიოს ახალქალაქის კიროვის სახელობის კულტურის სახლის თვითმოქმედ წრეს.

თეატრის კოლექტივი წელს პირველად დიდი პასუხისგებლობის გრძნობით გამოვიდა სოხუმის თეატრალური საზოგადოების წინაშე. ქალაქში ნაჩვენებმა 9 წარმოდგენამ მაღალმხატვრულ დონეზე ჩაიარა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

თეატრი 1954-55 წლის სეზონს ხსნის დღეს, 13 ოქტომბერს. სეზონის პირველი დადგმა იქნება პიესა „წითელი ყვავილი“, რომელსაც ამზადებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ა. აბარიანი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მ. კირაკოსიანს. დასადგმელად გათვალისწინებულია ა. სარქისიანის „ბრძოლის გზაზე“ და ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“. ამ პიესებს მოამზადებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ბეიკიანი, მხატვრულად გაფორმებს რ. ნალბანდიანი.

სეზონის მეორე ნახევარში თეატრი მაყურებელს უჩვენებს ლეგენდარული რევოლუციონერის კამოს ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი ნიძღვნილ სპექტაკლს. აგრეთვე ნაჩვენები იქნება ს. ავჩიანის პიესა „საიათ-ნოვა“.

ვ. ელიბეკიანი,
თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრის დირექტორი.

ახალსოფლის სასოფლო კლუბში

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო კლუბს შემოკრებილი ჰყავს სოფლის ფართო აქტივი, რომლის ძალებით ხშირად ხორციელდება კულტურული ღონისძიებანი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საწრაფო მუშაობას. ელექტრონათურებით გაჩირაღდნებულ სასოფლო კლუბში ყოველ საღამოობით იკრიბებიან კოლმეურნეები, კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, უსმენენ რადიოს, ესწრებიან კონცერტებს, ნახულობენ კინოფილმებს.

კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკაში 5 ათასზე მეტი წიგნია, ხოლო მუდმივ მკითხველთა რაოდენობა 200 კაცს აღწევს. აქ მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოფენა. (**„კომუნისტის“ კორ.**).

ინსტიტუტი ეხმარება მაღაროელებს

ბიათუნა. [illegible] ბის სამეცნიერო-საკვლევმა ბრიგადებმა მაღაროელებთან თანამშრომლობით ორი ერთი პრობლემა გადაჭრეს, რითაც საგრძნობლად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ამჟამად სტალინის სახელობის მაღაროში კვლევითს მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ბრიგადა, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ზუბაბაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ამუშავებს ეიწრო სანგრევებში მადნის დატვირთვის მექანიზაციის საკითხს.

ამ მაღაროში ახლა მადნის მექანიზებული დატვირთვა მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს. ბრიგადის მიზანია მადნის მექანიზებული დატვირთვა აიყვანოს 90 პროცენტამდე.

ბრიგადამ შეიცვალა სპირალის ზოგიერთი კონსტრუქციული ელემენტი, უკეთ მოაწყო შრომა, რითაც მარგანეცის მტვირთავი მანქანის ბრიგადმოქმედების კოეფიციენტი გაიზარდა ორჯერ, შრომის ნაყოფიერება 1,5-ჯერ, შემცირდა მადნის დანაკარგი.

ბრიგადაში ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები კ. კალანდაძე, ვ. ცერცვაძე, ა. მიქელაძე, ე. ასათიანი და სხვ. ბრიგადასთან ყოველდღიურად მუშაობენ მაღაროს მთავარი ინჟინერი ლ. ჩხაიძე, მექანიკოსები დ. ცერცვაძე და ბ. გამეზარდაშვილი, გეოლოგი შ. კოპალეიშვილი, მთავარი მარკშეიდერი ბ. რუხაძე, უბნის გამგეები გ. გაფრინდაშვილი, ი. წერეთელი. ბრიგადასთან თანამშრომლობენ აგრეთვე მექანიზმებზე მომუშავე მაღაროელები. ისინი საერთო ძალით წყვეტენ საკითხებს, წინ სწევენ ტექნიკურ აზრს.

იზრდება მექანიზებული ფერმის ფულადი შემოსავალი

წლითიწლობით იზრდება ასურეთის მილიონერი კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი მერძეული პირუტყვის ფერმიდან. 1951 წელს ამ შემოსავალმა 21.200 მანეთი შეადგინა, ხოლო 1952 წელს მიღებულ იქნა 33.120 მანეთი.

შარშან ასურეთელმა კოლმეურნეებმა ფერმაში განახორციელეს შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია, რითაც ერთიორად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა საკვების დანაკარგები, გაადვილდა. ფერმაში მომუშავე მეცხოველეთა შრომა, მნიშვნელოვნად გაიზარდა წველადობა. ამიტომაც იყო, რომ 1953 წელს მერძეული პირუტყვის ფერმიდან 1952 წელთან შედარებით ორნახევარჯერ მეტი — 89.385 მანეთი შემოსავალი იქნა მიღებული.

კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები იქვთ წელს. კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. შეძენილ იქნა 10 სული მაღალპროდუქტიული ჯიშიანი ძროხა, განზრახულია 100 სული მოზარდეულის შეძენა.

ნ. ნასარიძე.

ბროშურები მეცნიერულ-პოპულარულ საკითხებზე

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობამ გამოუშვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. ზ. ფიცხელაურის ორი ბროშურა „პირველი ექიმამდელი დახმარება შახტებში“ და „პირველი ექიმამდელი დახმარება ნავთის სარეწაესა და საძიებოზე“.

ბროშურებში, რომლების რედაქტორია დ. ღვინეფაძე, აღწერილია პირველი დახმარების ორგანიზაცია იმ პირთათვის, რომლებიც გეოლოგიურ-საძიებო პარტიებში, გეოფიზიკურ ექსპედიციებში და მიწის ქვეშ მუშაობენ.

მეცხვარეთა ოჯახის აზრი

— ვისია აი ის სახლი მთის ძირას?

— ბურდულებისაა, ძველი მეცხვარეების, — გვეუბნება ახალგაზრდა მთიელი. — მოდი ვესტუმროთ, ძალიან პურადი ხალხია, — დაბეჯითებით გვთხოვს იგი.

ჩვენ სტუმრობაზე უარი არ გვითქვამს. ამბობენ, ახლადგაცნობილი კაცი ნაუკითხავ წიგნს ჰგავსო, მოგვესურვა გადაგვეფურცლა ეს წიგნი, გაგვეცნო ახალი ადამიანები, გაგვეგო მათი ავი და კარგი.

ქვიან ფერდობზე მივდიოდით, უკან მოვიტოვეთ საქართველოს სამხედრო გზა, გამმაგებული არაგვის ღრიალი. წინ ტყით შემოსილი მთები ჩანდა. მთის კალთაზე აღმართული ორსართულიანი სახლი ძველებური კოშკივით დაჰყურებდა ხეობას.

ღამდებოდა. ახალგაზრდა მთიელმა ლომისის მწვერვალიდან წამოსულ ღრუბლებს გახედა, ცხვრის ტყავის ბანჯგვლიანი ქუდი მოიხადა და დარწმუნებით თქვა:

— წვიმა დაუშვებს, ვიჩქაროთ!

დიდხანს როდი გვალოდინა წვიმამ, თუმცა დასველებას გადავრჩით. გარეთ კოკისპირულად რომ ასხამდა, ჩვენ უკვე მეცხვარეების სახლის ფართო აივანზე ვისხედით და ვაწშმის მოლოდინში ტკბილად ვსაუბრობდით.

ამ სახლში მოხუცი ძმები — გაბო და მიხა ბურდულები ცხოვრობენ. ისინი ერთად ეწევიან მეურნეობას და ხანდაზმულობის მიუხედავად თავისი წვლილი შეაქვთ საკოლმეურნეო შრომაში.

გაბო მაღალი ტანის, მხრებგაშლილი ჭალარა კაცია, მიხა უფროს ძმას სიმაღლეში ოდნავ ჩამორჩება, სამაგიეროდ, ორივეს მეცხვარეობის ერთნაირი სტაჟი აქვთ — ორმოც-ორმოცი წელიწადი. ზამთარ-ზაფხულ კავკასიონის მაღალ მთებსა და ნოღაის ტრამალებზე უმრავლებიათ ცხვარი.

ოჯახი შრომისმოყვარეობით გამოირჩევა, ეს ეტყობა სახლსა და კარმიდამოს. ძმებმა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ბარიდან ვაშლისა და მსხლის ნერგები ამოიტანეს და სახლის გარშემო რომ დარგეს, მეზობლები უნდობლად თავს იქნევდნენ: — ფუჭი შრომაა, ამ კლდე-ღრეში ხეხილი ფესვს ვერ გაიდგამს, ესეც რომ არ იყოს, ბაღი და ვენახი რა მეცხვარის საქმეაო.

გავიდა წლები... სითბოს და ნოყიერ ნიადაგს მიჩვეულმა ნერგებმა ადამიანის მზრუნველობით ტანი აიყარეს, ახლა უამრავი ნაყოფი ასხია ვაშლსა და მსხალს; იქვეა კომბოსტო, ჭარხალი, კარტოფილი, ბოლოკი... ეს ყველაფერი ხარობს მკაცრი ჰაეის პირობებში — ზღვის დონიდან ათას ორასი მეტრის სიმაღლეზე.

დიდია მაგალითის ძალა. ძმების მიერ ჩაყრილმა ნერგებმა გაიხარეს თუ არა, მეზობლებმა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმაც იწყეს ხეხილის გაშენება. კარგი ბაღი გააშენა მლეთის კოლმეურნეობამ. მიჩურინული ხეხილი ამშვენებს არახველ, ქვეშელ და მლეთელ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებს.

ბურდულების სახლის მახლობლად კარგა მოზრდილი ხევია, საიდანაც ძმებს პატარა არხი გაუჭრიათ და მთის ანკარა ნაკადული საკუთარ ეზოში შემოუყვანიათ. საერთოდ ოჯახს ეტყობა შეძლებულობა, გონივრული შრომის შედეგი.

...დიასახლისმა აივანზე ლამპა შემოიტანა, გაბომ პატრუქი გაასწორა და ბოდიშის მოხდით თქვა:

— ორი წელიწადია მლეთის სადგურიდან ელექტროხაზი გამოვიყვანეთ და არ ვიცი ვისი ბრალია, რომ დღემდე შუქი არა გვაქვს...

— შვილები სადა გყავთ? — შეეკითხეთ მასპინძლებს.

ძმებმა ერთმანეთს გადახედეს, ეტყობოდათ ამაზე ლაპარაკი სურდათ, მაგრამ მორცხვობდნენ, რადგან ყველა ის სასწავლებელი, სადაც მათ შვილებს უსწავლიათ ან სწავლობენ, ზუსტად არ ახსოვთ, ბოლოს ისევ მიხამ გაბედა:

— ჩემმა ძმისწულებმა ანდრომ და ილიამ უმაღლესი დაამთავრეს, პირველი ინჟინერია, მეორე კი ეკონომისტი. რუსეთში გაისად დაამთავრებს უნივერსიტეტს, ისტორიისმცოდნე გამოვა, მისი მომდევნო ვალიკო მლეთის საშუალო სკოლის მოსწავლეა.

— ახლა ჩემები ჩამოვთვალო: ვასილი და ნინო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს მომავალ წელს დაამთავრებენ, ოლია მლეთაში მასწავლებლობს (უმაღლესი შარშან დაამთავრა), სიდონია ბიბლიოთეკის გამგეა...

—ჩვენ ვბერდებით, ქვეყანა კი ჯეელდება, — დააყოლა მიხამ, — ძველათ ამას ვინ გვაღირსებდა, მეცხვარის შვილი მეცხვარედ უნდა მომკვდარიყო...

ოჯახში კიდევ ორი ქალიშვილი ჰყავთ — ევგენია და ელისაბედი, საუბარიც სწორედ მათზე გაჩაღდა.

საქმე ის არის, რომ ევგენია და ელისაბედი უმაღლეს სასწავლებელში რომ გაისტუმრეს, რატომღაც ფილოსოფიურ ფაკულტეტზე მოხვდნენ. რა უნდა ექნათ გამოუცდელ ახალგაზრდებს, სხვა ფაკულტეტებზე ადგილები არ იყო და უნივერსიტეტის გარეთ ხომ ვერ დარჩებოდნენ?

ქალიშვილებს ფილოსოფიის მიდრეკილება არ ჰქონდათ, დამთავრების შემდეგ მშობლიური კუთხიდან სადმე წასვლას არ ფიქრობდნენ; ასე იყო თუ ისე, ხუთი წლის შემდეგ მეცხვარეებს ფილოსოფიის დიპლომებით დაუბრუნდნენ.

ამრიგად, ოჯახში გამოიზარდნენ: ინჟინერი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსები. ყველაფერი ეს კარგია. ამ მაგალითში ნათლად ჩანს ის დიდი ცვლილებანი, რაც ძველათ მიყრუებულ და ახლა განახლებულ მთაში მოხდა. მაგრამ გაბოს და მიხას საუბარში მაინც რაღაც უკმაყოფილება ეტყობოდათ.

— ჩვენს კუთხეს, — წამოიწყო გაბომ, — მეცხოველეობის მცოდნე ხალხი უნდა. დავალებული გვაქვს ცხვარი და ძროხა მოვამრავლოთ, მეტი ხორცი, ტყავი, ყველი და ერბო-კარაქი დავამზადოთ, და აბა მითხარით, გეთაყვა, ფილოსოფოსებს (მოხუცს ამ სიტყვის წარმოთქმა უჭირს) ამ საქმისა რა გაეგებათ?

— არა, ფილოსოფიის წინააღმდეგი როდი ვართ, — დასძინა მეორე ძმამ,— მაგრამ ჩვენს შვილებს ზოოტექნიკოსობა ან ვეტექიმობა უფრო შეეფერებოდა, ეგენი ბავშვობიდანვე ცხვარსა და ძროხაში ტრიალებდნენ და ნაცნობი საქმე რომ ესწავლათ, უფრო ნაყოფიერად იმრომებდნენ...

— აგერ ბაღი გავაშენეთ, მაგრამ ამის შემდეგ როგორ მოვუაროთ, არ ვიცით; რამდენმა ჩვენებურმა მიიღო განათლება, რამდენი ახლა სწავლობს, აგრონომი კი ჩვენში სანთლით საძებარია, — დაუმატა გაბომ.

— არა, ძმაო, უმცროს ბიჭს აუცილებლად ზოოტექნიკოსობა ან აგრონომობა უნდა ვასწავლოთ, — თქვა მიხამ.

საუბრის დროს ახალგაზრდა ფილოსოფოსები მორცხვად ისხდნენ, ერთმანეთისათვის ხელები გადაეჭდოთ და მალიმალ შუბლზე ჩამოყრილ კულულებს ისწორებდნენ. ბოლოს ერთმა მათგანმა საყვედურს ვერ გაუძლო და მოკრძალებულად წარმოთქვა:

— თქვენ გგონიათ, ჩვენ ზედმეტნი ვართ? არავითარ შემთხვევაში; მალე მე და ევგენია მასწავლებლობას დავიწყებთ. ისე კი, თქვენც მართალი ხართ, სჯობდა მეცხოველეობა აგვერჩია...

ამ სიტყვებზე ევგენიამ ზიძაშვილს მადლობის ღიმილით შეხედა და თან დაამატა:

— ჩვენთვის არავის ურჩევია, რა პროფესია მიგვეღო, ოღონდ უმაღლესში შევსულიყავით და სულერთი იყო, რა დარგზე.

ძველი მეცხვარეების საუბარს რომ ვისმენდნენ, არ შეიძლებოდა მათი პრეტენზია საგულისხმოდ არ მიგვეჩნია. ნართლაც რამდენი მთიელი ახალგაზრდა ამთავრებს უმაღლეს თუ საშუალო სასწავლებელს, მათში კი ძალიან ცოტაა ისეთი, რომელსაც პროფესიად ნაცნობი დარგი — მეცხოველეობა აერჩიოს.

თანდათანობით მტკიცდება მთის კოლმეურნეობათა ეკონომიკა, განვითარების მაღალ დონეს აღწევს სოფლის მეურნეობის ყველაზე რთული დარგი — ნეცხოველეობა და ამავე დროს ბევრი ახალგაზრდა ინჟინერიშს არ უწევს ცხოვრების მოთხოვნებს.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მთიელი ქალიშვილები — ევგენია და ელისაბედი მეცხოველეობის ნამდვილად კარგი სპეციალისტები გახდებოდნენ. რატომ? იმიტომ, რომ ეს დარგი მათთვის ბავშვობიდანვე ნაცნობი და საყვარელი საქმეა. ახლა რა გამოვიდა — მეცხვარის ოჯახს ორი ფილოსოფოსი ჰყავს, რა თქმა უნდა, ეს კადრებიც საჭიროა, მაგრამ მათთვის რომ თავის დროზე დახმარება გაეწიათ, ისინიც უმუალო წვლილს შეიტანდნენ პარტიის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებაში. მით უმეტეს, რომ ევგენიასა და ელისაბედს ამის დიდი სურვილი აქვთ.

რამდენი თბილისელი ახალგაზრდა სწავლობს სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში. ზოგ მათგანს ამ საქმის შესწავლის მაინცდამაინც დიდი სურვილი არა აქვს. დაამთავრებს ასეთი ახალგაზრდა ინსტიტუტს და ბერი უნდა ეხვეწოს სოფელში, უშუალოდ კოლმეურნეობაში წავიდეს საქმოდ.

ახლა რამდენია უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო განათლებას მოწყურებული სოფლელი ახალგაზრდა, რომელსაც ასეთ სასწავლებელში მოხვედრა არ შეუძლია და იძულებულია სხვა დარგზე განაგრძოს სწავლა. რატომ? იმიტომ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ყოველთვის როდი უწევენ ანგარიშს იმას, თუ საიდან არის ესა თუ ის აბიტურიენტი, ცხოვრების რომელ მხარეს იცნობს, რისადმი მისწრაფება აქვს და მეცნიერების რომელ დარგში უფრო გაშლის თავის უნარსა და ნიჭს. აი როგორ მრავლდებიან ჩვენში ქალაქელი მეცხოველეები და სოფლელი ფილოსოფოსები.

გაბომ გვიამბო:

— ამ ოცი-ოცდაერთი წლის წინათ, ცხვარი საკოხეს მთაში გვედგა. ერთ მშვენიერ დღეს მაღალქუსლა ტუფლებიანი და ამრეშუმის კაბიანი ქალი გვეესტუმრა; ჯერ იყო და ძაღლების ყეფაზე კინაღამ გული წაუვიდა. შემდეგ ქარმა რომ დაუბერა, ხომ სიცივისაგან აკანკალდა.

— მწყემსები მხიარული ხალხია, რომ გაიგეს ქალი ფერმის შესამოწმებლად ქალაქიდან ამოვიდაო, სიცილი წასკდათ, მაგრამ თავი შეიკავეს.

შიშისა და სიცივისაგან ქალი გონს რომ მოვიდა, იკითხა:

— რა გაქვთ მზად ცხვრის საზამთრო საძოვრებზე გასარეკადო...

მწყემსებმა იხუმრეს:

— ყველაფერი მზად გვაქვს: ურმები, ნაბდები, პროდუქტები, მხოლოდ... გვაპატიეთ, ცხვარი ჯერ არ დაგვიჭედია. ფერმის გამგე ნალ-ლურსმნისათვის ქალაქს წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულაო...

მეცხვარეობა რთული საქმეა, ნაკლებგამოცდილმა ქალმა ტყუილი სინანულად მიიჩნია და ცხვრის დაუქედაობის საკითხი უბის წიგნაკში ჩაიწერა. არ მომეწონა ამ მწყემსების საქციელი — თუ ადამიანი რაიმეში ვერ ერკვევა, უნდა დაეხმარო, აუხსნა, განუმარტო. დასაცინი იმ ქალს არაფერი სჭირდა. ეგ იყო, რომ გამოუცდელი და გულუბრყვილო იყო, წასვლას რომ აპირებდა, ცალკე გავიხმე და ყველაფერი სიმართლით ვუამბე, — დაამთავრა გაბომ.

— ჩვენებურებთან კი ასეთი ხუმრობა არ გაგივა, აქ ყველამ ხუთი თითივით იცის ცხვარი და ძროხა, — დაუმატა მიხამ.

ზოგი ახალგაზრდა თვითონაც არასწორად ირჩევს პროფესიას. ამაში ბრალი მიუძღვით სკოლებსა და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ისინი ახალგაზრდებს ვერ უღვიძებენ ინტერესს ისეთი საჭირო დარგისადმი, როგორიც სოფლის მეურნეობაა.

ნოხუც მეცხვარეებს — გაბოს და მიხას გული სწყდებათ, რომ ახალგაზრდობა რატომღაც ერიდება ცხვარში წასვლას. კოლმეურნეობებს ესაჭიროებათ მაღალი კვალიფიკაციის მეცხოველეთა კადრები. კოლმეურნეობათა ბრიგადირებს, ფერმების გამგეებს, მწყემსებს მეტი ცოდნა მოეთხოვებათ, მათი მომზადებისათვის კი ჯერჯერობით არავინ ზრუნავს.

დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში მეცხვარეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. საჭიროა საშუალო განათლების მქონე კადრები. რატომ არ შეიძლება, რომ ამ სამი რაიონისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი გაიხსნას?

სკოლებმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და ჩვენმა საზოგადოებრიობამ ფართოდ უნდა განუმარტონ ახალგაზრდობას, რომ საბჭოთა ქვეყანაში ყოველგვარი შრომა ღირსების, დიდებისა და სიმამაცის საქმეა. მეფოლადე იქნები, მეცხვარე, ექიმი თუ ზოოტექნიკოსი, რკინიგზელი თუ აგრონომი. ეს სულ ერთია. ოღონდ საქმე გიყვარდეს და მთელი მონდომებით ასრულებდე.

ასეთია მეცხვარეთა ოჯახის აზრი ამ საკითხში. საერთოდ კი ამ საქმეზე დაფიქრება ღირს და კიდევაც უნდა ვიფიქროთ.

ა. თოდაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ლაიპციგიდან იუწყება, საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით დღეს იყო ლაიპციგში. საბჭოთა მთავრობის დელეგაციას თან ახლდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მოადგილის ვ. ულბრიხტის მეთაურობით. დელეგაციამ დაათვალიერა დიდი მშენებლობები, ისტორიული შენობები და ლაიპციგის სხვა ღირსშესანიშნაობები.

ლაიპციგის მოსახლეობა გულთბილად შეხვდა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებსა და მათ თანმხლებ პირებს.

საბჭოთა ფილმების ფესტივალი პოლონეთში

ვარშავა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და ბევრ სოფელში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა ფილმების მე-7 ტრადიციული ფესტივალი. პირველ ოც დღეში საბჭოთა ფილმები 14 მილიონზე მეტმა კაცმა ნახა.

განსაკუთრებული წარმატება აქვს ფილმებს: „ალბანეთის დიდი მეომარი სკანდერბეგი“, „ერთგული მეგობრები“, „სიმამაცის სკოლა“, „ანა კისერნა“, აგრეთვე დოკუმენტალურ სამეცნიერო-პოპულარულ და ახალგაზრდათა ფილმებს.

ვიეტნამის სახალხო არმია ხანოიში შევიდა

პეკინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხანოიდან იუწყება, გუშინ ვიეტნამის სახალხო არმია ექვს კოლონად შევიდა ხანოიში სხვადასხვა მიმართულებიდან.

საფრანგეთის კავშირი ჯარებისა და ვიეტნამის სახალხო არმიის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ვიეტნამის გუბერნატორის რეზიდენციასთან. ქალაქის გადაცემის დროს მის ეზოებში იყვნენ საერთაშორისო სამეთვალყურეო და საკონტროლო კომისიის ინდოელი, კანადელი და პოლონელი წევრები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გადაცემის მსვლელობას.

შუადღისათვის ხანოის მეტ წილ რაიონებს კონტროლს უწევდა ვიეტნამის სახალხო არმია. საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე, როცა საფრანგეთის კავშირის ჯარებმა მთლიანად დატოვეს ქალაქი, თითქმის ყველა შენობაზე წითელი ალმები ფრიალებდა, და ხანოის მეზობლებნი ქუჩაში გამოვიდნენ ვიეტნამის სახალხო არმიის მისასალმებლად. ქუჩებში ხალხი იკრიბებოდა, რათა მოესმინათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებანი, რომლებსაც ავტომანქანებზე დადგმული რადიოტელეფონებით გადასცემდნენ.

დანიის კომპარტიის კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

კოპენჰაგენი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა დანიის კომუნისტური პარტიის კონფერენციამ. დანიის პოლიტიკური ვითარების შესახებ კონფერენციის განცხადებაში ნათქვამია, რომ დაძლევა ვალუტის კრიზისისა, რომელიც ძირს უთხრის დანიის ეკონომიკას, შეიძლება სამხედრო ხარჯებისა და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებით, დასავლეთის ქვეყნებში ექსპორტის პირობების გაუმჯობესებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ექსპორტის გაფართოებითა და ვალუტის მაქინაციების აღკვეთით.

კომუნისტური პარტია თავის განცხადებაში მოუწოდებს დანიელ ხალხს მხარი დაუჭიროს ამ მოთხოვნებს. იქ, კერძოდ, ნათქვამია: „ახლა ერთობლივი ბრძოლა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე წინათ. ამჟამად ყველასთვის ნათელია, რომ მთელი დანიელები, რასაც ხალხს წლითიწლობით ართმევდნენ სამხედრო მიზნებისათვის, ნამდვილად იმას ხმარდებოდა, რომ ხელი შეეწყოთ გერმანიის შეიარაღებისა და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისათვის“.

რუმინეთის მშრომელები იყენებენ საბჭოთა ნოვატორების შრომის მეთოდებს

ბუქარესტი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). რუმინელი მშრომელები ეუფლებიან და ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა შრომის მეთოდებს. ამჟამად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგის 400 ათასამდე მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი იყენებს შრომის საბჭოთა მეთოდებს, რომლებიც ეხმარება მათ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ საწარმოო დავალებები, უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა.

მაგალითად, მანქანათმშენებელი ქარხნების ხარატები წარმატებით ნერგავენ ლითონის ჩქაროსნული და ძალოსანი ჭრის მეთოდს. მთელ რუმინეთშია ცნობილი სოციალისტური შრომის გმირი ხარატი კონსტანტინე ვასილაკე, რომელიც მოწინავე საბჭოთა გამოცდილების გამოყენების მეოხებით უკვე 1987 წლის ანგარიშში მუშაობს.

იყენებენ რა ჩქაროსნული ბურღვის საბჭოთა მეთოდს, რუმინელმა მენავთობეებმა მნიშვნელოვნად გაადიდეს ჭაბურღილების ბურღვის სიჩქარე, ვადამდე აამუშავეს ისინი. მუშაობს რა ამ მეთოდით, იონ მირიას ბრიგადამ (პტეშტის ოლქის № 2 ბურღვის ტრესტი) მიაღწია რუმინეთისათვის ყველაზე დიდ ბურღვის სიჩქარეს, რომელიც აღემატება 7.621 მეტრს ჩარხზე თვეში.

მაღაროელები სულ უფრო ფართოდ ნერგავენ ციკლურობის გრაფიკს. რკინიგზის ტრანსპორტზე ვრცელდება ხუთასოვანთა მოძრაობა, რომლის შედეგად დიდდება ორთქლმავლების სარემონტთაშორისო გარბენი. საბჭოთა ნოვატორების შრომის მოწინავე მეთოდებს ფართოდ იყენებენ რუმინეთის მსუბუქ მრეწველობაშიც.

რუმინეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები აგრეთვე ეუფლებიან საბჭოთა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას.

სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების ათი წლისთავი

ბუქარესტი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). წელს რუმინეთ-საბჭოთა მეგობრობის ერთთვიურის დროს აღინიშნება სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების ათი წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „სკინტეიამ“ გამოაქვეყნა საზოგადოების თავმჯდომარის აკადემიკოს კ. ი. პარხონის სტატია სათაურით „ურღვევი მეგობრობა“.

სტატიაში აღნიშნულია, რომ თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოებამ ბრწყინვალე შეიტანა რუმინელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. საზოგადოებაში ყოველწლიურად შედიან მშრომელთა სულ უფრო ფართო მასები. საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები შექმნილია რუმინეთის ყველაზე შორეულ კუთხეებში. დღეს სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოება ნამდვილი მასობრივი ორგანიზაციაა, რომლის რიგებში 6 მილიონზე მეტი წევრია — ქალაქისა და სოფლების მშრომელები.

წრეებში, ლექციებზე, გამოფენებზე, რომლებსაც საზოგადოება აწყობს, მშრომელთა ფართო მასები ეცნობიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

სტატიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რა დიდი მუშაობა გასწია საზოგადოებამ რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის.

საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოებამ სხვა მასობრივ ორგანიზაციებთან ერთად შექმნა რუსული ენის სახალხო კურსები, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ძლიერ გაფართოდა. 1945 წელს კურსებზე სულ 940 კაცი მეცადინეობდა, 1953-1954 სასწავლო წელს კი უკვე იყო 12 ათასი კურსები, სადაც მეცადინეობდა 220 ათასი კაცი. ბევრი მუშა, მშრომელი გლეხი და ინტელიგენციის წარმომადგენელი, რომლებმაც რუსული ენის სახალხო კურსები დაამთავრეს, დედანში კითხულობენ მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურას, საბჭოთა წიგნებითა და ბროშურებით ეცნობიან შრომის მოწინავე მეთოდებს.

გერმანული გაზეთი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმების შესახებ

ბერლინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ველტ ამ ზონტაგი“ წერს, რომ ცხრა ქვეყნის ლონდონის თათბირის გადაწყვეტილება დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნის შესახებ „ღრმად იჭრება თვითეული ჩვენგანის ცხოვრებაში“. ამასთან დაკავშირებით გაზეთი ბეჭდავს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების კალენდარულ გეგმას, რომელიც დასახეს ბონის ხელისუფლებამ და მათმა დასავლეთელმა პარტნიორებმა.

ამ გეგმაში აღნიშნულია, რომ 1955 წლის მარტში უნდა დამთავრდეს ბრიუსელისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტებთან დასავლეთ გერმანიის შეერთების შესახებ შეთანხმებათა დამტკიცება, რომელთა საფუძველზე უნდა დაიწყოს დასავლეთ გერმანიის აშკარა შეიარაღება. პაქტების მონაწილე ერთ-ერთი უკანასკნელი სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის დღე, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, იგივეა, რაც დასავლეთ გერმანიაში 12 დივიზიისათვის მოხალისეთა შემგროვებელი მიმღები პუნქტების გახსნის დღე, დასავლეთ გერმანიის სამხედრო მრეწველობაში პირველი სამხედრო დაკვეთების მიღების დღე. შეიარაღება, რომელსაც უპირატესად ამერიკის შეერთებული შტატები აწვდიან, ნაწილობრივ უკვე ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის პაფალცის საწყობებშია, რომლებსაც სასტიკად იცავენ.

1956 წლის გაზაფხულზე, განაგრძობს გაზეთი, გაწვეულ იქნებიან პირველი რეკრუტები: არმიაში გაწვევის უწყებას პირველად მიიღებენ ალბათ 1936-37 წლებში დაბადებული წვევამდელები. 12 მთლიანად მექანიზებული დივიზიის შემადგენლობით 400-500 ათასიანი არმიის შესაქმნელად, აგრეთვე კორპუსისა და არმიის ჯგუფების, 80.000-იანი სამხედრო-საჰაერო ძალების და 20.000-იანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაქმნელად საჭირო იქნება ორი გასაწვევი ასაკი.

ახასიათებს რა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საბოლოო ეტაპს, გაზეთი წერს, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ დასავლეთის სახელმწიფოთა შეთანხმებების რატიფიკაციის ორი წლის შემდეგ ბონის ხელისუფალნი დაამთავრებენ 12 დივიზიის შექმნას.

ცხრა სახელმწიფოს თათბირის გადაწყვეტილებანი ომს იწვევენ

პეკინი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ინდონეზიის ყოველკვირეულმა „სანდი კურიერმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ცხრა სახელმწიფოს ლონდონის თათბირის გადაწყვეტილებანი გერმანიის დიდი არმიის შექმნის შესახებ ომს იწვევენ.

ადენაუერის მოთხოვნა ეგრეთწოდებული „სრული სუვერენიტეტის“ შესახებ, აღნიშნავს ჟურნალი, ნიშნავს დიდი შეიარაღებული ძალების შექმნის თავისუფლებას. გერმანელმა მილიტარისტებმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სრული მხარდაჭერა მიიღეს ამერიკის მონოპოლიებისაგან. ახლა ამერიკის ფინანსური მაგნატები კვლავ აშკარად უჭერენ მხარს დასავლეთ გერმანიაში სამხედრო მანქანის სწრაფ აღდგენას.

აღნიშნავს რა, რომ ამჟამად ორი კურსი არსებობს საერთაშორისო პოლიტიკაში — ერთი მთგანი ემხრობა ომს, ხოლო მეორე — სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიან თანაარსებობას. „სანდი კურიერი“ განგრძობს: პირველი კურსის მოქმედება თავს იჩენს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო დაჯგუფების შექმნით, გერმანიის რემილიტარიზაციით. მეორე კურსმა თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა წინადადებებით ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება მთელ მსოფლიოში.

ხალხები, წერს დასასრულ ჟურნალი, ნათლად ხედავენ მშვიდობიანი თანაარსებობის უდიდეს მნიშვნელობას.

სპორტის ამბები

საბჭოთა ძალოსნების გამარჯვება ვენაში

ვენა, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს გაიმართა ექვსი ქვეყნის: ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, შვეიცის, ფინეთის, ავსტრიისა და საარის ოლქის მძიმე წონის შტანგისტთა ასპარეზობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა შვიდი სპორტსმენი. პირველი ადგილი დაიკავა შემანსკიმ (ამერიკის შეერთებული შტატები), რომელმაც კლასიკურ სამჭიდში მოაგროვა 487,5 კილოგრამი (150+150+187,5) და ამით დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი. მეორე ადგილი დაიკავა ბრედფორდმა (ამერიკის შეერთებული შტატები) — 462,5 კილოგრამი, მესამე ადგილი — ჰებლმა (ავსტრია) — 425 კილოგრამი და მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება.

ამრიგად, ძალოსანთა შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე, რომელიც მწვავე სპორტული ბრძოლით მიმდინარეობდა, დამთავრდა სსრ კავშირის გუნდის თვალსაჩინო გამარჯვებით. საერთაშორისო შეჯიბრება შტანგაში მიმდინარეობდა შვიდ წონითს კატეგორიაში. საბჭოთა სპორტსმენებმა გამოიყვანეს შეჯიბრების 7 მონაწილე 6 წონითს კატეგორიაში და მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონების წოდება მჩატე, ქვემსუბუქ, მსუბუქ და ქვემძიმე წონაში, აგრეთვე მიიგეს მსოფლიო გუნდური პირველობა. ევროპის ჩემპიონის წოდება საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს მჩატე, ქვემსუბუქ, მსუბუქ, ქვესაშუალო, საშუალო და ქვემძიმე წონაში, ესე იგი ყველა წონითს კატეგორიაში, რომლებშიც მონაწილეობდნენ.

საბჭოთა სპორტსმენებს გადაეცათ 4 ოქროს და 3 ვერცხლის მედალი მსოფლიო პირველობისათვის და 6 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი ევროპის პირველობისათვის. საბჭოთა სპორტსმენებმა ევროპის პირველობაზე შეჯიბრებებში მოაგროვეს 29 ქულა. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს აქვს 3 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი. მან მოაგროვა 23 ქულა.

ევროპის პირველობაში საბჭოთა სპორტსმენებმა აგრეთვე დაიკავეს საერთო პირველი ადგილი, მოაგროვეს 33 ქულა. მეორე ადგილი დაიკავეა ავსტრიის გუნდმა — 9 ქულა, მესამე ადგილი იტალიის გუნდმა — 5 ქულა, მეოთხე ადგილი ფინეთის გუნდმა — 4 ქულა.

სსრ კავშირის თასის მოსაპოვებლად

კიევი. 12 ოქტომბერი. უკრაინის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების უკანასკნელი მეოთხედფინალური შეჯიბრება ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „ა“ კლასის გუნდები კიევის „დინამო“ და მოსკოვის ცდსა. ასპარეზობა დამთავრდა კიევის დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

ამრიგად, კიევის „დინამო“ გავიდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში. ნახევარფინალურ ასპარეზობას დინამოელები გამართავენ ლენინგრადის „ზენიტთან“. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი ფინალში შეხვდება ერევნის „სპარტაკს“.

თბილისი

თბილისი. შაუმიანის ქუჩა

ფოტო პ. ლუცენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

ფინელი რედაქტორებისა და ჟურნალისტების დელეგაცია თბილისში

სამი დღეა თბილისში სტუმრად არის ფინელ რედაქტორთა და ჟურნალისტთა დელეგაცია. დელეგაციის წევრები ეცნობიან საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ცხოვრებას, შრომასა და აზეაცხოვრებას.

ფინელი ჟურნალისტები იყვნენ თბილისის კამეოლ-მაუდის კომბინატში, სადაც დაათვალიერეს საწარმოს სამქროები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, ესაუბრნენ მუშებს, იყვნენ შამპანსკი ღვინოების კომბინატში და დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. უცხოელთათან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში მათ აჩვენეს თბილისის კინოსტუდიის დოკუმენტალური ფერადი ფილმები „საბჭოთა საქართველო“ და „საქართველოს ხალხური ცეკვები“.

ინტერესით ეცნობიან ფინელი ჟურნალისტები თბილისის ღირსშესანიშნაობებს. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კომკავშირული ბავშვისა და ფუნიკულორის პლატოზე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დათვალიერებამ.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებამ სტუმრების პატივსაცემად მოაწყო დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები და თანამშრომლები, საქართველოს კულტურის მოღვაწენი. დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სტუდენტთა ქალაქში

ამ დღეებში სტუდენტთა ქალაქის კლუბში მოეწყო სტუდენტთა და საქართველოს სარეწაო საბჭოს კულტურის სახლთან არსებული ქართული თეატრალური კოლექტივის შეხვედრა.

სტუდენტებისათვის თეატრალურმა კოლექტივმა წარმოადგინა ალ. აფხაიძის 4-მოქმედებიანი პიესა „ძველის ტყვეობაში“, რომლის დადგმა ეკუთვნის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობს, რუსეთის დამსახურებულ არტისტს დ. ხუციშვილს.

სპექტაკლმა სტუდენტთა მოწონება დაიმსახურა.

გეოგრაფიული რუკები

თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა ამთავრებს გეოგრაფიული ატლასის ბეჭდვას დაწყებით სკოლისათვის 50.000 ცალი ტირაჟით, აგრეთვე ატლასისა ძველი მსოფლიოს ისტორიისათვის უკრაინულ ენაზე 10.000 ცალი ტირაჟით. ამჟამად ფაბრიკა ემზადება იმისათვის, რომ მეორედ გამოსცეს ისტორიული და გეოგრაფიული რუკები მასობრივი ტირაჟით ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

მიმდინარე თვეში 200.000 ცალი ტირაჟით უნდა დაიბეჭდოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ-ების ფიზიკური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკები.

ფაბრიკამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსაგან მიიღო შეკვეთა ქართულ ენაზე დაბეჭდოს სსრ კავშირის პოლიტიკური და ფიზიკური რუკები, აგრეთვე სსრ კავშირის ბუნებრივი ზონების რუკები.

თათბირი-სემინარი

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ა. წ. 15-16 ოქტომბერს აწყობს რესპუბლიკურ თათბირ-სემინარს ლექტორებისათვის სამეცნიერო-თეოლუტური და ჯანსაღი ყოფაცხოვრების პრობაგანდის საკითხებზე.

თათბირი დაიწყება 15 ოქტომბერს დილის 9 საათზე საზოგადოების გამგეობის დარბაზში (ჯაფარიძის ქ. № 4).

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 14 ოქტომბერს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სალექციო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის პ. ღუდუშაურის საჯარო ლექციას თემაზე: „მ. ი. ლერმონტოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურგიკიძე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე
რსფსრ დამსახურებული არტისტის
იური დურეოვის
გასვრელები
(შერეული ცხოველების ჯგუფი)
დიდი საცირკო პროგრამა
მონაწილეობენ:
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები

კვირას, 17 ოქტომბერს
დღის ორი საბაჯეშვო ნარმოდგენა
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. 30 წ. დღის წარმოდგენების
დასაწყისი 12 ს. და 3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის
სალაროებში. მიიღება შეკვეთები
კოლექტიურ დასწრებაზე.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

13 ოქტომბერს
ფეხბურთი
ამხანაგური შეხვედრა
„დინამო“
(ოსტატები)
თბილისის ოფიცერთა
საოლქო სახლი
(ოსტატები)
(ძირითადი შემადგენლობა)
დასაწყისი 16 ს. და 30 წ.

დისერტაციის დაცვა
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი
(ძერჟინსკის ქ. № 8)
27 ოქტომბერს დღის 3 საათზე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დავით თომას-ძე ხარაზოვის** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „О некоторых линейных уравнениях в гильбертовых пространствах“.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტთან არსებული დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე 1954-55 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. აგრონომიულ (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი), 2. მებაღეობა — მებოსტნეობის და მევენახეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი), 3. მცენარეთა დაცვის (კვალიფიკაცია —. სწავლული აგრონომი), 4. მეაბრეშუმეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი), 5. სატყეო-სამეურნეო (კვალიფიკაცია — სატყეო მეურნეობის ინჟინერი), 6. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (კვალიფიკაცია — ინჟინერ-მექანიკოსი), 7. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის (კვალიფიკაცია — ინჟინერ-ტექნოლოგი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი განუსაზღვრელად ასაკისა, რომლებმაც დაამთავრეს სრული საშუალო სკოლა ან ჩაბარეს საშუალო სკოლის სრული კურსი ექსტერნატის წესით.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით ან ტექნიკუმი წარჩინებით და შედიან ინსტიტუტში სპეციალობის მიხედვით. დანარჩენები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: აგრონომიულ, მებაღე-მებოსტნეობის და მევენახეობის, მცენარეთა დაცვის და მეაბრეშუმეობის ფაკულტეტებზე შემსვლელები ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში.

სატყეო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტებზე შემსვლელები დამატებით აბარებენ მათემატიკას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტზე შემსვლელები აბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურას (წერა და ზეპირი), რუსულ ენას (წერა და ზეპირი), ფიზიკას, ქიმიას, მათემატიკას და ერთ-ერთ უცხო ენას (გერმანულს, ფრანგულს ან ინგლისურს).

გაწცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე 15 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე. გაწცხადებას უნდა დართოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, სამუშაო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), სამი ცალი შემოწმებული ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ., ცნობა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცნობა ვეტერინარიის შესახებ და ცნობა სოფლის მეურნეობის წარმოებაში მუშაობის შესახებ თანამდებობისა და სტაჟის აღნიშვნით, დამოწმებული რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე.

კონსულტაციის მიღება შეიძლება ყოველდღე მიმღებ კომისიაში, გარდა კვირადღისა, დილის 11 საათიდან 3 საათამდე.

ინსტიტუტის მისამართი — თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 35.

შენიშვნა: აკადემიური შეკრება (ლექციების კითხვა და ლაბორატორიული მუშაობა) ყველა ფაკულტეტსა და ყველა კურსზე 1955 წლის 5 იანვრიდან 5 თებერვლამდე.

რედაქციის, გამოცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჯგუფისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომწვევის — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

УЭ 15817 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ლაიპციგიდან იუწყება, საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის მეთაურობით დღეს იყო ლაიპციგში. საბჭოთა მთავრობის დელეგაციას თან ახლდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მოადგილის ვ. ულბრიხტის მეთაურობით. დელეგაციამ დაათვალიერა დიდი მშენებლობები, ისტორიული შენობები და ლაიპციგის სხვა ღირსშესანიშნაობები.

ლაიპციგის მოსახლეობა გულთბილად შეხვდა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებსა და მათ თანმხლებ პირებს.

საბჭოთა ფილმების ფესტივალი პოლონეთში

ვარშავა, 9 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და ბევრ სოფელში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა ფილმების მე-7 ტრადიციული ფესტივალი. პირველ ოც დღეში საბჭოთა ფილმები 14 მილიონზე მეტმა კაცმა ნახა.

განსაკუთრებული წარმატება აქვს ფილმებს: „ალბანეთის დიდი მეომარი სკანდერბეგი“, „ერთგული მეგობრები“, „სიმამაცის სკოლა“, „ანა კისერნა“, აგრეთვე დოკუმენტალურ სამეცნიერო-პოპულარულ და ახალგაზრდათა ფილმებს.

ვიეტნამის სახალხო არმია ხანოიში შევიდა

პეკინი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი ხანოიდან იუწყება, გუშინ ვიეტნამის სახალხო არმია ექვს კოლონად შევიდა ხანოიში სხვადასხვა მიმართულებიდან.

საფრანგეთის კავშირი ჯარებისა და ვიეტნამის სახალხო არმიის წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ ვიეტნამის გუბერნატორის რეზიდენციასთან. ქალაქის გადაცემის დროს მის ეზოებში იყვნენ საერთაშორისო სამეთვალყურეო და საკონტროლო კომისიის ინდოელი, კანადელი და პოლონელი წევრები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გადაცემის მსვლელობას.

შუადღისათვის ხანოის მეტ წილ რაიონებს კონტროლს უწევდა ვიეტნამის სახალხო არმია. საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე, როცა საფრანგეთის კავშირის ჯარებმა მთლიანად დატოვეს ქალაქი, თითქმის ყველა შენობაზე წითელი ალმები ფრიალებდა, და ხანოის მეზობლებნი ქუჩაში გამოვიდნენ ვიეტნამის სახალხო არმიის მისასალმებლად. ქუჩებში ხალხი იკრიბებოდა, რათა მოესმინათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებანი, რომლებსაც ავტომანქანებზე დადგმული რადიოტელეფონებით გადასცემდნენ.

დანიის კომპარტიის კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა

კოპენჰაგენი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა დანიის კომუნისტური პარტიის კონფერენციამ. დანიის პოლიტიკური ვითარების შესახებ კონფერენციის განცხადებაში ნათქვამია, რომ დაძლევა ვალუტის კრიზისისა, რომელიც ძირს უთხრის დანიის ეკონომიკას, შეიძლება სამხედრო ხარჯებისა და სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებით, დასავლეთის ქვეყნებში ექსპორტის პირობების გაუმჯობესებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ექსპორტის გაფართოებითა და ვალუტის მაქინაციების აღკვეთით.

კომუნისტური პარტია თავის განცხადებაში მოუწოდებს დანიელ ხალხს მხარი დაუჭიროს ამ მოთხოვნებს. იქ, კერძოდ, ნათქვამია: „ახლა ერთობლივი ბრძოლა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე წინათ. ამჟამად ყველასთვის ნათელია, რომ მთელი დანიელები, რასაც ხალხს წლითიწლობით ართმევდნენ სამხედრო მიზნებისათვის, ნამდვილად იმას ხმარდებოდა, რომ ხელი შეეწყოთ გერმანიის შეიარაღებისა და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისათვის“.

თურქი მუშების გაჭირვებული მდგომარეობა

თურქულ პრესაში იბეჭდება ცნობები, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა მილიტარიზაციის პოლიტიკას, რომელსაც თურქეთის მმართველი წრეები ახორციელებენ. თურქეთში ყოველწლიურად იზრდება სამხედრო ხარჯები და ამავე დროს მცირდება მრეწველობის მშვიდობიანი დარგების განვითარებისათვის გათვალისწინებული ასიგნებანი. ნედლეულის ნაკლებობის გამო იხურება ფაბრიკა-ქარხნები, მატულობს უმუ